



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

ქართული ცეკვის /მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი,
საბაკალავრო პროგრამა

შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2024 წლის 13 დეკემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2025 წლის 3 იანვარი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	6
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	15
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათ პროგრამის შესაბამისობა	15
2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	47
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	62
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	67
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	85

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რამუნე ბალევიჩიუტე - ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია, ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინე გელიაშვილი - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიკა კვინჩია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ქართული ცეკვის/ მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Choreographer of Georgian Folk Dances / Choreographer of World Folk Dances
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
	დონე 6
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ²	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	სტუდენტი უნივერსიტეტში ირიცხება „შემოქმედებითი ტურის“ საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანობის მხარდაჭერასა და გამოწვევების დაძლევის კუთხით დახმარებას. შემოქმედებითი ტურები ტარდება ორ ეტაპად ეროვნული გამოცდების დაწყებამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართება და სტუდენტები პროგრამაზე ირიცხებიან აღნიშნული

² მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

	გამოცდების შედეგების საფუძველზე.
--	-------------------------------------

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ³

საქართველოს უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული საბაკალავრო პროგრამის „ქართული ცეკვის / მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი“ მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ პროგრამა უპასუხებს კვალიფიციურ ქორეოგრაფებზე არსებულ მზარდ მოთხოვნას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზარზე. შედეგად, უნივერსიტეტი გახდება პიონერი უნივერსიტეტი, რომელიც აწვდის სპეციალიზებულ აკადემიურ განათლებას მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელ ქორეოგრაფებს. სამი წლის განმავლობაში, პროგრამა მოიცავს სავალდებულო ძირითად კურსებს და არჩევით კურსებს, სტუდენტთა ინტერესების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს ს პრაქტიკულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაერთონ პრაქტიკული დავალებების მომზადებაში, წარმოდგენებსა და კვლევით ექსპედიციებში. დაგეგმილია, რომ ყოველწლიურად თითოეულ ნაკადში დაახლოებით 30 სტუდენტი ჩაირიცხება. მოსალოდნელია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაბამისი ცოდნა, რომ გააგრძელონ კარიერული წინსვლა კულტურის მიმართულებით მოქმედ დაწესებულებებში, საგანმანათლებლო ორგანიზაციებში და სხვადასხვა ქორეოგრაფიულ სივრცეში, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ კულტურული ლანდშაფტის განვითარებაში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2024 წლის 13 დეკემბერს. ვიზიტის დროს ექსპერტები შეხვდნენ და ჩაატარეს ინტერვიუები შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან: (1) ადმინისტრაცია, (2) თვითშეფასების ჯგუფი, (3) პროგრამის ხელმძღვანელები, (4)) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, (5) აკადემიური და მოწვეული პერსონალი, (6) დამსაქმებლები და (7) სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა, როგორც მთავარი შენობა, ასევე დაქირავებული ობიექტები. ადგილზე ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელმა გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიში საკმაოდ ლაკონურია და საჭირო გახდა დამატებითი ინფორმაციის მიღება. ზოგჯერ შეინიშნებოდა შეუსაბამოები სხვადასხვა დოკუმენტებს შორის და დოკუმენტებში არსებული მონაცემები ყოველთვის არ ემთხვეოდა შეხვედრების დროს მიღებულ ინფორმაციას. ეს მიუთითებს კონსენსუსის ან კომუნიკაციის ნაკლებობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და შემოთავაზებული პროგრამის განმახორციელებელ პირებს შორის.

პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამა ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

- რეკომენდაციები

- 1.1. რეკომენდებულია, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, პროგრამის მიზნების დადგენისას.

რეკომენდებულია, ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტექსტის აღწერა, რათა ჩამოაყალიბოთ პროგრამის კონკრეტული მიზნები და გამოკვეთოთ პროგრამის უნიკალურობა.

- 1.2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ასახავდეს კავშირს სასწავლო პროცესით მიღებულ ცოდნასა და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს შორის.

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები დაიწეროს უფრო კომპაქტურად და მეტად სტრუქტურირებულად.

რეკომენდებულია პროგრამის შედეგები ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში იყოს ზედმიწევნით მსგავსი.

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავდეს ყველა არსებით შედეგს, მათ შორის საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებისას.

1.3. რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა, რომ სწავლის ყველა შედეგი პროგრესულად ვითარდებოდეს შესავლის, გაღრმავებისა და განმტკიცების სამივე დონეზე, მიყვებოდეს რა ლოგიკური განვითარების ჯაჭვს, რაც აუცილებელია სტუდენტის თანმიმდევრული პროგრესისთვის.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს შრომის ბაზრის კვლევის პროცესი, კვლევის ინსტრუმენტების სიცხადისა და სპეციფიკის გაუმჯობესების გზით, თვისებრივ მონაცემთა შეგროვების მეთოდების დახვეწით, შედეგების სისტემატური ანალიზით და შემდგომ პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში მათი ეფექტური ინტეგრირებით.

1.4. რეკომენდებულია, რომ დარგის სინთეზური ბუნების გამო, პროგრამამ უზრუნველყოს საგნების მრავალფეროვნება და სტუდენტებს შესთავაზოს როგორც დარგობრივი, ისე მასთან დაკავშირებული კურსების ფართო სპექტრი, როგორც ძირითად, ასევე დამატებით მოდულებში.

რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელებმა გადახედონ პროგრამის შინაარსს და კურსებზე მინიჭებულ კრედიტებს, დააკავშირონ ისინი სწავლის იმ რეალურ მოცულობასთან, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად.

რეკომენდებულია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასკვნითი ნაშრომის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილის განხორციელება, რისთვისაც მიზანშეწონილია ცალკე კრედიტების მინიჭება.

თუ საბოლოო ნაშრომი ძირითადი პროფესიული კურსის „სასცენო ხელოვნება 6“-ის გამოცდით განისაზღვრება, მაშინ ამ კურსის შინაარსი და კრედიტების განაწილება რეკომენდებულია გადაიხედოს.

რეკომენდებულია, ინტეგრირებული კურსი „სამსახიობო ოსტატობა და რეჟისურის საფუძვლები“ გაიყოს და დამატებითი დრო და კრედიტები გამოიყოს სპეციალურად რეჟისურისთვის.

რეკომენდებულია, პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს საერთაშორისო გამოცდილებას, ინტერნაციონალიზაციის საკითხებს და ამ სფეროში არსებულ თანამედროვე მიღწევებს.

1.5. რეკომენდებულია, პროგრამის შედეგებისა და კურსის რუკის სქემაზე, ყველა ძირითადი სავალდებულო კურსი მკაფიოდ იყოს ასახული, მათ შორის, სადაც ეს შესაძლებელია, საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებიც.

რეკომენდებულია, კურსების შინაარსი და შედეგები საფუძვლიანად უნდა იყოს გაანალიზებული და სრულად შეესაბამებოდეს პროგრამის შედეგებს (რუკა/სქემა).

რეკომენდებულია, რომ თუ პროგრამა არ შეიცავს ცალკე საკვალიფიკაციო ნაშრომს, მაშინ პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევების ძირითადი მაჩვენებელი უნდა იყოს კურსი „ქორეოგრაფიული სასცენო ხელოვნება VI“ , თავისი დასკვნითი საგამოცდო დავალებით და შინაარსით. თუმცა, ამ ეტაპზე ის არ შეესაბამება ამ მოთხოვნას.

რეკომენდებულია, არჩევითი კურსის „სამეჯლისო სპორტული ცეკვის“ წინაპირობა მოიცავდეს „სამეჯლისო ცეკვა-თანამედროვე ცეკვას.“

რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილი ნათლად ასახავდეს მეთოდოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებას.

რეკომენდებულია, მრავალსემესტრულ კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამებოდეს კურსის შინაარსს.

რეკომენდებულია, კურსებში სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა მკაფიოდ შეფასდეს, ზუსტად გამოიკვეთოს საგამოცდო თემები და აისახოს შეფასების კრიტერიუმებში.

რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოიცავდეს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერებს, კერძოდ - ყურადღება გამახვილდეს პასუხისმგებლობასა და ავტონომიაზე.

2.1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებისთვის, შეფასების კრიტერიუმების ფარგლებში ქულების განაწილება (როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში). ეს მოიცავს კრიტერიუმის თითოეული ნაწილისთვის და კომპონენტებისთვის ცალკეულ კრიტერიუმებში ქულების განაწილებას, მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდებულია, თვითშეფასების ანგარიშსა და ცალკე წარდგენილ დოკუმენტს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც ასახავს პროგრამის შემოქმედებითი ტურების მოთხოვნებს და შეფასების კრიტერიუმებს, განსაკუთრებით პირველ ტურში „პლასტიურობის“ კრიტერიუმის ჩართვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, უზრუნველყავით გასაუბრების თემებს შორის თანმიმდევრულობა, რომლებიც მითითებულია მტკიცებულებად. .

რეკომენდებულია, რომ გარდა პროგრამაზე მიღების დადგენილი წინაპირობებისა, უსდ-მ დაადგინოს საგამოცდო ამოცანები და მოთხოვნები, რომლებიც გამოავლენს იმ თანდაყოლილ, შემოქმედებით შესაძლებლობებსა და მახასიათებლებს, რაც აუცილებელია ქორეოგრაფ-რეჟისორის პროფესიაში განათლების მისაღებად.

რეკომენდებულია, გაითვალისწინოთ პროგრამის სპეციფიკა, შრომის ბაზრის მოთხოვნები და დაწესებულების რესურსების შესაძლებლობები სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის, საგანმანათლებლო პროცესისა და კურსის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

2.2. რეკომენდებულია, ხელშეკრულებების დადება კულტურულ ან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტის ორგანიზება და დაგეგმვა პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

2.3. რეკომენდებულია, რომ სწავლების მეთოდოლოგია მოიცავდეს უფრო თანამედროვე მიდგომებს (მაგალითად, ციფრული ქორეოგრაფიული პლატფორმები, პერსონალური თხრობა და ამბის გადმოცემა, ვირტუალური მასტერკლასები და სემინარები, „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდოლოგია).

2.4. რეკომენდებულია, თითოეული აკადემიური კურსის ან საგნის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მორგებული იყოს კურსის სპეციფიკაზე, შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და შემუშავებული იყოს ამ შედეგების მიღწევის ეფექტურად გასაზომად;

რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები იყოს გამჭვირვალე და მკაფიოდ გადმოცემული, რათა ყველა სტუდენტი იყოს ინფორმირებული და უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანობა.

4.1. რეკომენდებულია, რომ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები იყოს სრული, შეუსაბამოების გარეშე.

რეკომენდებულია, რომუსდ-ის მიერ კონკრეტულ კურსზე დანიშნული პირი და სილაბუსში მითითებული პირი ერთმანეთს შეესაბამებოდეს.

რეკომენდებულია, პროგრამის მდგრადობისთვის, პროგრამის კონკრეტულ დარგში კონკურენტუნარიანი აკადემიური თანამდებობების გამოცხადება.

რეკომენდებულია, რომ ძირითადი, პროფილურ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ კურსებზე მოწვეული სპეციალისტები რეგულარულად ეწეოდნენ სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობას და ისწრაფვოდნენ უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ.

რეკომენდებულია, რომ თეორიული კურსების წამყვანმა კურატორებმა გამოავლინონ მაღალი სამეცნიერო აქტივობა, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია (ქორეოლოგი) და კონკრეტულ დარგებში სწავლების მნიშვნელოვანი გამოცდილება.

რეკომენდებულია, რომ ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების პროგრამის სწავლებაში ჩართული ინსტრუქტორები, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი, აქტიურად მონაწილეობდეს არა მხოლოდ აკადემიურ და მეთოდოლოგიურ, არამედ სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობაშიც.

რეკომენდებულია, წარმოდგენილ პროგრამას ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირი პროგრამის ხელმძღვანელ პოზიციაზე, ხოლო მოწვეული პერსონალი - თანახელმძღვანელად.

4.4. რეკომენდებულია უფრო შესაფერისი პირობების შექმნა პრაქტიკული მეცადინეობისთვის, განსაკუთრებით სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც ასახავს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტებს/წესებს ქორეოგრაფიის გაკვეთილებზე ჩართული პირებისთვის. ეს ნორმატიული დოკუმენტი უნდა დაერთოს პროგრამას, გამოქვეყნდეს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იყოს ყველა ჩართული პერსონალისა და სტუდენტისთვის.

რეკომენდებულია, ქორეოგრაფიის სწავლების შესაბამისი აუდიოვიზუალური რესურსების საჯაროდ ხელმისაწვდომი არქივის შექმნა.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2. სასურველია, ჩაატაროთ ყოვლისმომცველი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბაზრის კვლევა, სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრის, პროგრამის სპეციფიკის ანალიზისა და პერსპექტიული დამსაქმებლების რეალური საჭიროებების დადგენის მიზნით. ეს კვლევა უნდა სცდებოდეს პროგრამის მოთხოვნადობას და სისტემატურად დაფუძნებული იყოს სწავლის შედეგების განვითარებაზე. კვლევა უნდა მოიცავდეს მკაფიო კითხვებს და მასში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კვალიფიციური დაინტერესებული მხარეები, რომლებიც შესაბამისი მიმართულებით პროფესიული საქმიანობით არიან დაკავებული.

1.4. სასურველია, სტუდენტებმა პირველივე სემესტრიდან დაიწყონ კურსი “მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლფეჯიო“, ისე რომ კურსის კრედიტები განცალკევდეს და გაიზარდოს.

1.5. სასურველია, „სავალდებულო ლიტერატურის“ ნაწილის გაძლიერება რამდენიმე კურსის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

სასურველია, ყველა ძირითადი კურსის შინაარსის გაუმჯობესება ელექტრონული რესურსების ფართო სპექტრით.

სასურველია, მასწავლებელთა პირადი არქივის განთავსება უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში და ამის ასახვა კურსის შინაარსში.

2.3. სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებლებმა განიხილონ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ისეთი ინოვაციური მიდგომის გამოყენება, როგორიცაა "შებრუნებული კლასის მეთოდი" და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები.

3.1. სასურველია სტუდენტებისთვის პროფესიონალურ და ანონიმურ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე წვდომის შესაძლებლობების შექმნა.

სასურველია, პოტენციურ დამსაქმებლებთან და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფართოება სტაჟირების, დასაქმების, აკადემიური გაცვლითი პროგრამების, ერთობლივი კვლევითი ინიციატივებისა და ინოვაციურ საგანმანათლებლო პრაქტიკებზე წვდომის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.

4.1. სასურველია, სამეცნიერო საქმიანობის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავდეს CV-ის პროექტი (ფორმა) ხელოვნების სფეროს პერსონალისთვის, რომელშიც მითითებული იქნება, ბოლო 10 წლის განმავლობაში, მათი შემოქმედებითი საქმიანობა (პროექტები), რაც მკაფიოდ იქნება გამოყოფილი სხვა პროფესიული (არასასწავლო) გამოცდილებისგან.

სასურველია ძირითადი, პროფილური მეთოდოლოგიური და პრაქტიკული კურსების მოწვეულმა სპეციალისტებმა მეტად მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, გამოაქვეყნონ სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად (რეფერირებად ან სამეცნიერო) ჟურნალებში და დაწერონ ფუნდამენტური ნაშრომები ამ სფეროში.

სასურველია, უსდ-მ დამატებით ჩართოს მაღალკვალიფიციური (PhD) ქორეოგრაფები, ან მაგისტრატურის კვალიფიკაციის მქონე ქორეოლოგები, რომლებიც არ არიან აფილირებული სხვა უნივერსიტეტებთან, რათა ასწავლონ თეორიული პროფილის კურსები. ამ პირებს უნდა ჰქონდეთ უფრო მაღალი დონის სამეცნიერო ან/და პედაგოგიური საქმიანობა კონკრეტულ სასწავლო სფეროში.

სასურველია, უსდ-მ პრაქტიკულ კურსებზე დამატებით მოიწვიოს საპატიო წოდების მქონე პროფესიონალები შესაბამისი სახელმწიფო ან პროფესიული სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც ავლენენ შემოქმედებითი მუშაობის მაღალ დონეს.

სასურველია რომ ავტობიოგრაფიული-პროფესიული რეზიუმე (CV) არ მოიცავდეს პირის საიდენტიფიკაციო ნომერს.

რეკომენდებულია, რომ ხელოვნების სფეროს სპეციალისტებმა, სამეცნიერო საქმიანობის მოთხოვნების შესაბამისად, რეზიუმეში წარმოადგინონ ბოლო 10 წლის განმავლობაში დაგროვილი შემოქმედებითი გამოცდილების (პროექტების) სია, რაც გამოყოფილი იქნება სხვა პროფესიული (არასასწავლო) გამოცდილებისგან.

4.3. სასურველია, პროფესიული განვითარების აქტივობებში ახალი კადრების აქტიური მონაწილეობა.

4.4. სასურველია ბიბლიოთეკაში ღია თაროების შექმნა, პროგრამასთან დაკავშირებული ლიტერატურისთვის.

5.1. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა და ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მიზანმიმართული ინიციატივების მეშვეობით და უზრუნველყოს დამატებითი მხარდაჭერა ONLINE UG პორტალის ყველა პროგრამაში სრული განხორციელების უზრუნველსაყოფად.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴

▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უსდ-ის დეტალური არგუმენტირებული პოზიციის გულდასმით განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გადაწყვიტეს მოცემულ რეკომენდაციებზე დამატებითი კომენტარის გაკეთება (იხ. დანართი 1). გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა სამი ცვლილება შეიტანა:

1. რჩევაში გადავიდა რეკომენდაცია 1.2 კომპონენტიდან, „რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის მენეჯერებისთვის უზრუნველყოს დამატებითი ტრენინგი სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით“.

2. რჩევაში გადატანილია რეკომენდაცია 4.1 კომპონენტიდან „ავტობიოგრაფიული-პროფესიული რეზიუმე (CV) არ მოიცავდეს პირის საიდენტიფიკაციო ნომერს“.

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ასევე რჩევაშია გადასული 4.1 კომპონენტიდან „ხელოვნების სფეროს სპეციალისტებმა, სამეცნიერო საქმიანობის მოთხოვნების შესაბამისად, რეზიუმეში წარმოადგინონ ბოლო 10 წლის განმავლობაში დაგროვილი შემოქმედებითი გამოცდილების (პროექტების) სია“.

3. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები აღიარებენ, რომ ფსიქოლოგიური კეთილდღეობა არის სწავლის საერთო ხარისხის გადამწყვეტი ასპექტი და რომ სტუდენტებმა გამოხატეს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროება, ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეს არ არის მითითებული ოფიციალურ მოთხოვნებში. ამიტომ, 3.1 კომპონენტის რეკომენდაცია „შეექმნათ შესაძლებლობა სტუდენტებისთვის წვდომა მიიღონ პროფესიულ და ანონიმურ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე“ გადავიდა რჩევაში. შესაბამისად 3.1 კომპონენტის შეფასება გახდა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და მე-3 სტანდარტის შეფასება, „სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“, გახდა სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, პროგრამის მიზანია „ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ფლობენ კვალიფიკაციას და პროფესიულ შემოქმედებით/პრაქტიკულ უნარებს, რაც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და ბაზრის მოთხოვნებს“. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მიაწოდოს სტუდენტებს „დადგმული ხელოვნების საფუძვლები, ცეკვის დადგმის ტექნიკა და მეთოდები“, არამედ „ქართული ტრადიციული და მსოფლიო ხალხთა ცეკვების ეროვნული საცეკვაო კულტურის, მათ შორის მათი გამორჩეული მანერის, ხასიათის, სტილის, მუსიკალური შინაარსის, ქორეოგრაფიული ლექსიკის მრავალფეროვნების ცოდნა და საცეკვაო ტერმინოლოგია“. ეს მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, ის რეალისტური და მიღწევადია სასწავლო სფეროს სპეციფიკისა და საგანმანათლებლო პროგრამის დონის გათვალისწინებით. ის ითვალისწინებს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც პროგრამის მიზნების შესაბამისად, უნდა გამოიმუშაოს კურსდამთავრებულმა და ასახავს დარგსა და საზოგადოებაში შეტანილ წვლილს.

უფრო მეტიც, პროგრამის მიზნები თავსებადია საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ფოკუსირებულია ინდივიდებში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებაზე და საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში წვლილის შეტანაზე.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასებაში ნახსენებია, რომ პროგრამის საჭიროებას განსაზღვრავს შრომის ბაზრის კვლევა, ამ მხრივ მოწოდებული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი. უსდ-მ წარმოადგინა დოკუმენტი სახელწოდებით „შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი“, თუმცა ის მეტისმეტად აბსტრაქტული, ზედაპირული და ნაკლებ დასაბუთებულია.

დოკუმენტი არ აღწერს პოტენციური დამსაქმებლების რეალურ საჭიროებებს, რათა ამის საფუძველზე განისაზღვროს პროგრამის მიზნები. მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნისა, უსდ-მ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დამხმარე წყაროები, რომლებსაც ეყრდნობოდა წარმოდგენილი კვლევა. მოწოდებული დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას განისაზღვროს პროგრამაში დამსაქმებლის მონაწილეობისა და ჩართულობის რეალური დონე. მართალია, ზოგად კვლევის შედეგებში მითითებულია დამსაქმებელიც, მაგრამ მათი წვლილი არ არის ასახული რეკომენდაციებში.

ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ პროგრამის შექმნის მთავარი ინიციატივა პროფესიული სფეროდან მოდის, სადაც აცნობიერებენ ქართული და მსოფლიო ხალხთა ცეკვის ქორეოგრაფების უფრო მაღალი საფეხურის განათლების აუცილებლობას. შეხვედრაზე დამსწრე პოტენციური დამსაქმებლების ორმა წარმომადგენელმა დაადასტურა პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სურვილი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემქმნელებმა საკმარისად არ გაითვალისწინეს ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტექსტი. მსგავს პროგრამებს სთავაზობენ სხვა უნივერსიტეტებშიც და მათი მიზნებისა და შინაარსის შესწავლა დაეხმარებოდა უსდ-ს ამ პროგრამის უნიკალურობის ხაზგასმასა და უფრო კონკრეტული მიზნების ჩამოყალიბებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, პროგრამის მიზნების დადგენისას.
- რეკომენდებულია, ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტექსტის აღწერა, რათა ჩამოყალიბდეს პროგრამის კონკრეტული მიზნები და გამოკვეთოს პროგრამის უნიკალურობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐
-----------------------	--------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში სწავლის შედეგების რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიკვეთოს: 1) მხატვრული ქორეოგრაფიული პროექტის დამოუკიდებლად განხორციელებისთვის აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; 2) ქართული ეროვნული საცეკვაო კულტურის, აგრეთვე მსოფლიო ცეკვის ისტორიისა და ცეკვის სხვადასხვა ფორმების ცოდნა; და 3) გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებული უნარები, მათ შორის შრომითი უსაფრთხოება და ტრავმების პრევენცია. თუმცა, ეს სწავლის შედეგები წარმოდგენილია ფრაგმენტულად და ნაკლებ სტრუქტურირებულად. ისინი არ ემთხვევა საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს ტიპიური ზოგადი და საგნობრივი კომპეტენციების ჩარჩოებს და არ ავლენს იმ ცოდნას, უნარებს, ავტონომიას და პასუხისმგებლობას, რომელიც უნდა შეიძინონ პროგრამის კურსდამთავრებულებმა.

ზოგადად, საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები დიდწილად შეესაბამება მის დასახულ მიზნებს. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უსდ-ის მიერ მოწოდებული თვითშეფასების დოკუმენტი არ გვთავაზობს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ყოვლისმომცველ, ურთიერთდაკავშირებულ ანალიზს, რაც უფრო ზუსტ არტიკულაციას გახდიდა შესაძლებელს.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი სწავლის შედეგები არის არასტრუქტურირებული, ზედმეტად გრძელი და დეტალური. გარდა ამისა, მათ არ აქვთ შესაბამისობა თავად პროგრამაში მითითებულ სწავლის შედეგებთან, რომლებიც ასევე ზედმეტად ვრცელი და ნაკლებ კონკრეტულია.

ექსპერტების მიერ მოთხოვნილ დოკუმენტში, სადაც ნაჩვენებია კავშირი პროგრამის შედეგებსა და სამიზნე ნიშნულებს შორის, იდენტიფიცირებულია 17 შედეგი. ეს არ შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს (სწავლის შედეგების რაოდენობა გაურკვეველია

და მათი შინაარსი მოკლებულია სიზუსტეს), ასევე არ შეესაბამება პროგრამის შედეგების რაოდენობრივ მაჩვენებელს (პროგრამაში ჩამოთვლილია 12 შედეგი).

სწავლის შედეგები არ ითვალისწინებს იმ ტრანსფერულ უნარებს, რომლებიც სტუდენტებმა უნდა შეიძინონ სხვადასხვა სავალდებულო თეორიული კურსის გავლისას. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი უნარი მოიცავს ენობრივ კომპეტენციებს, როგორცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უცხო ენაზე.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, დამსაქმებლებმა გამოხატეს მხარდაჭერა პროგრამის მიმართ და გამოთქვეს მზადყოფნა, რომ დაასაქმებენ პოტენციური კურსდამთავრებულებს, თუმცა მოკლევადიანი პროექტებისთვის (როგორცაა საკონცერტო პროგრამებში მონაწილეობა ან მასტერკლასების ჩატარება). თუმცა, არც ერთი მხარეს ყურადღება არ გაუმახვილებია პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული და მიღწერული სწავლის შედეგებს შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობაზე. ექსპერტებმა ვერ მიიღეს მათგან არგუმენტირებული პასუხები, რომ ჩართულნი იყვნენ პროგრამის შედეგებისა და იმ კონკრეტული უნარების შემუშავების პროცესში, რომლებიც კურსდამთავრებულებს სჭირდებათ მათი შემდგომი წარმატებული დასაქმებისთვის.

უფრო მეტიც, შეხვედრების დროს, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ არ ყოფილან ჩართული აღნიშნული პროგრამის შემუშავების პროცესში. მართალია, ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს, რომ პროგრამას ამჟამად არ ირიცხებიან სტუდენტები, თუმცა ექსპერტებისთვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა იმავე სკოლის (ხელოვნების) შესაბამისი სფეროს სტუდენტებთან გასაუბრება, ვიდრე აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- გასაუბრებები;
- პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო გეგმა;

- სილაბუსები;
- კავშირი კურსის პროგრამებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ასახავდეს კავშირს სასწავლო პროცესით მიღებულ ცოდნასა და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს შორის.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დაიწეროს უფრო კომპაქტურად და მეტად სტრუქტურირებულად.
- პროგრამის შედეგები ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში იყოს ზედმიწევნით მსგავსი.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავდეს ყველა არსებით შედეგს, მათ შორის საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, ჩაატაროთ ყოვლისმომცველი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბაზრის კვლევა, სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრის, პროგრამის სპეციფიკის ანალიზისა და პერსპექტიული დამსაქმებლების რეალური საჭიროებების დადგენის მიზნით. ეს კვლევა უნდა სცდებოდეს პროგრამის მოთხოვნადობას და სისტემატურად დაფუძნებული იყოს სწავლის შედეგების განვითარებაზე. კვლევა უნდა მოიცავდეს მკაფიო კითხვებს და მასში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კვალიფიციური დაინტერესებული მხარეები, რომლებიც შესაბამისი მიმართულებით პროფესიული საქმიანობით არიან დაკავებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☐	X	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტმა დაწერა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველი და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობას და პასუხობს დარგის სპეციფიკურ საჭიროებებს. ამ მექანიზმში ცენტრალურია პროგრამის განვითარების საბჭო (PDC), რომელიც ზედამხედველობს პროგრამების შემუშავებას, შეფასებას და დახვეწას. საბჭოს მიდგომა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება და ადაპტირებული შეფასების სისტემა.

პროგრამების სწავლის შედეგები მუშავდება და ფასდება დარგისა და განათლების დონის თავისებურებების გათვალისწინებით. ეს ნათელია ქორეოგრაფიის პროგრამის შემთხვევაში, სადაც საბჭომ გამოიყენა სისტემური მიდგომა, რაც მოიცავდა ბაზრის კვლევას, კონსულტაციებს დამსაქმებლებთან, პოტენციურ სტუდენტთა გამოკითხვებს და სამიზნე ნიშნულებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ანალოგიურ პროგრამებთან. შედეგად, სწავლის შედეგები შეესაბამება ინდუსტრიის მოთხოვნებს და დარგის მხარდ საჭიროებებს. თუკი პირდაპირი შეფასების მეთოდები, როგორცაა გამოცდები და ნაშრომები იძლევა გაზომვად მონაცემებს სტუდენტთა მიღწევებზე, არაპირდაპირი მეთოდები, მათ შორის დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებას და ქმნის ჰოლისტიკური შეფასების პროცესს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის წარმოდგენილ სასწავლო გეგმის რუკაში სწავლის ყველა შედეგი არ არის შემუშავებული სამი დონის - შესავლის, გაღრმავების და განმტკიცების (გამოხატული როგორც I, P და M) შესაბამისად. ეს შეუსაბამობა არღვევს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკურ ჯაჭვს, რაც აუცილებელია სტუდენტების პროგრესული და თანმიმდევრული განვითარებისთვის პროგრამის განმავლობაში. ამ ლოგიკური თანმიმდევრობის გარეშე, სასწავლო პროგრამამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს სტუდენტები აუცილებელი საკვანძო კომპეტენციებით.

გარდა ამისა, პრობლემა გამოვლინდა შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიაში. ქორეოგრაფიის პროგრამისთვის ჩატარებული ბაზრის კვლევა აღმოჩნდა ნაკლებ ინფორმატიული. კვლევაში დასმული კითხვები ხშირად არასათანადოდ იყო სტრუქტურირებული, რაც ზღუდავდა პასუხების სანდოობას.

ზოგიერთ შემთხვევაში, კითხვები ორაზროვანი იყო, რაც რესპონდენტებს კითხვის მხოლოდ ერთ ნაწილზე პასუხის გაცემის საშუალებას აძლევდა, ხოლო სხვა შემთხვევებში, ზოგადი კითხვები მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. . კვლევის დიზაინის ნაკლოვანებამ მნიშვნელოვანი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას შეუშალა ხელი. გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფების საფუძველზე შეგროვებული თვისებრივი მონაცემები არ არის სათანადოდ ინტერპრეტირებული; დისკურსი ანალიზი და ქმედითი შედეგები კიდევ უფრო საეჭვოს ხდის ამ კვლევის მნიშვნელობას პროგრამის განვითარების პროცესში.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ გარე დაინტერესებული მხარეები, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩათვლით, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სწავლის შედეგების შეფასებაში. მათი ჩართულობა შეფასების პროცესს უფრო სიღრმისეულს და პროგრამას შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისს ხდის. თუმცა, ბაზრის კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და კვლევის შედეგების უფრო ეფექტურად ინტეგრირება პროგრამის დიზაინსა და შეფასებაში მეტად გაზრდიდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა იცოდეს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები. რეგულარული კონსულტაციები PDC-სა და განმახორციელებელ პერსონალს შორის უზრუნველყოფს შეფასების პროცესების თანმიმდევრულობას და გაგებას. უფრო მეტიც, უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალის განვითარებას; ეხმარება რა მათ, რომ გაიუმჯობესონ სწავლის შედეგების ფორმულირებასთან, გაზომვასა და ანალიზთან დაკავშირებული უნარები. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია შეფასების პროცესის საიმედოობისა და ეფექტურობის შენარჩუნების მიზნით.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, ქორეოგრაფიის პროგრამა გვიჩვენებს, რომ სწავლის შედეგები არ არის სტატიკური არამედ, რეგულარულად განიხილება და იხვეწება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რელევანტურობა და კონკურენტუნარიანობა. ამ პროცესის განმეორებითი ხასიათი უზრუნველყოფს პროგრამების მუდმივ შესაბამისობას დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან და თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებთან. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტს შეუძლია გააძლიეროს თავისი მიდგომა პროგრამის საერთაშორისო სამიზნე ნიშნულებთან დაახლოებით, დეტალური დოკუმენტაციის წარმოებით და პროგრამის განვითარებაში ამ შედეგების სისტემატური ინტეგრირებით (იხილეთ რჩევა ამ საკითხთან დაკავშირებით 5.3. ქვესტანდარტში).

უსდ უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ამის დასტურია, რომ შეფასების შედეგებს აცნობს დაინტერესებულ მხარეებს. ის ფაქტი, რომ სტუდენტები, დამსაქმებლები და პერსონალი იცნობენ ამ

შეფასებების შედეგებს, ხელს უწყობს მიკუთვნებისა და ანგარიშვალდებულების განცდას, რაც თავის მხრივ პროგრამის საერთო ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1.3. რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა, რომ სწავლის ყველა შედეგი პროგრესულად ვითარდებოდეს შესავლის, გაღრმავებისა და განმტკიცების სამივე დონეზე, მიყვებოდეს რა ლოგიკური განვითარების ჯაჭვს, რაც აუცილებელია სტუდენტის თანმიმდევრული პროგრესისთვის.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს შრომის ბაზრის კვლევის პროცესი, კვლევის ინსტრუმენტების სიცხადისა და სპეციფიკის გაუმჯობესების გზით, თვისებრივ მონაცემთა შეგროვების მეთოდების დახვეწით, შედეგების სისტემატური ანალიზით და შემდგომ პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში მათი ეფექტური ინტეგრირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	X	☐	☐
---	--------------------------	---	--------------------------	--------------------------

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ახალი, ისე არსებული პროგრამების შექმნას და შეფასებას. შიდა მექანიზმები ასახულია საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დებულებაში. დებულების მიხედვით, როგორც ახალი პროგრამის შექმნის, ისე არსებულის შეფასების შემთხვევაში, არსებობს სპეციალური საბჭო, რომელსაც პროგრამის განვითარების საბჭო ჰქვია. პროგრამის განვითარების საბჭო მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებს, სტუდენტს ან პოტენციურ სტუდენტს, დამსაქმებელს ან პოტენციურ დამსაქმებელს და მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს. პროგრამის განვითარების საბჭო განსაზღვრავს, თუ როგორ და რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს პროგრამა. საბჭო ატარებს კვლევას და აანალიზებს შედეგებს, აყალიბებს რა ცვლილებები უნდა შეიტანოს პროგრამაში და რატომ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სრულად არის გაციფრულებული საქართველოს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტს აქვს LMS სისტემა, რომელშიც სწავლის შედეგები და კურსების შეფასების საკითხები დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული შეფასებისას, სტუდენტებს ეძლევათ ერთი ან მეტი თემა. თემების მომზადებისას კურსის განმახორციელებელი ადგენს მათ კავშირს სწავლის შედეგთან, კონკრეტულად მიუთითებს თუ სწავლის შედეგების რომელი კომპონენტი იზომება. LMS სისტემა აჩვენებს, როგორც სტუდენტების, ასევე ჯგუფის სწავლის შედეგების მიღწევას.

ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის საბაკალავრო პროგრამა თანმიმდევრულად და ლოგიკურად სტრუქტურირებული გეგმაა, რომელიც დაფუძნებულია

მრავალფეროვანი კომპეტენციების თანდათანობით ათვისების პრინციპზე. პროგრამა მოიცავს 180 ECTS-ს, რომელიც აერთიანებს ძირითად და არჩევით კურსებს: პროგრამის ძირითადი კურსები 120 ECTS, ერთ-ერთ მოდულში 24 ECTS (ქართული ცეკვის/მსოფლიოს ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი), 24 ECTS პროგრამის არჩევითი კურსები, 12 ECTS უნივერსიტეტის სავალდებულო-არჩევითი ბლოკის კურსები (6 ECTS სოციალური/ჰუმანიტარული ბლოკიდან და 6 ECTS STEAM ბლოკიდან).

სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამისობაშია. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს მიენიჭება ქორეოგრაფიის ბაკალავრის ხარისხი.

პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლის შესაბამის დონეს. პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სასწავლო ციკლს. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის მიხედვით.

აღწერილობაში ხაზგასმულია LMS ციფრული სისტემა, რომელიც გაგვაცნეს ვიზიტის დროს; ეს სისტემა უდავოდ თანამედროვე და ეფექტური პრაქტიკაა. იგი ხელს უწყობს, რომ პროგრამაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცვლილებები, შედარებით უფრო მარტივად განხორციელდეს.

საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი სტრუქტურირებულია საგანმანათლებლო კომპონენტებად და ეფუძნება მოდულურ პრინციპს. იგი შედგება ძირითადი და არჩევითი კომპონენტებისგან, რომლებიც იყოფა ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებებად და STEM ბლოკებად. პროგრამა მოიცავს სულ 180 ECTS-ს.

პროგრამის ძირითადი კურსები (120 ECTS), ერთ-ერთ საგნობრივ მოდულთან ერთად - ქართული ცეკვა ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის ქორეოგრაფია (24 ECTS) - შეადგენს 144 ECTS-ს. ამ სტრუქტურის ფარგლებში კურსის მოცულობისა და შინაარსის სათანადო განაწილება მიზნად ისახავს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ძირითადი სასწავლო სფეროს ან მოდულის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის სტრუქტურა ძირითადად თანმიმდევრულია. მიუხედავად იმისა, რომ

პროგრამას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ექსლუზიურობის პრეტენცია აქვს და მისი სტრუქტურა მართლაც იძლევა ქორეოგრაფიის ორი მიმართულების - ქართული ცეკვისა და მსოფლიო ხალხთა ცეკვის - განხორციელების საშუალებას, მისი მოცულობა და შინაარსი ადეკვატურად არ უზრუნველყოფს გამორჩეულობას, დასახული შედეგების მისაღწევად. ამის მისაღწევად აუცილებელია, ორივე მიმართულებით, ყოვლისმომცველი ფუნდამენტური კურსების უზრუნველყოფა მრავალფეროვანი შინაარსით, რასაც თან ახლავს მასალის ეტაპობრივად გაძლიერება. ეს მოითხოვს პროგრამას, რომელიც ზუსტად არის გაწერილი რეალურ დროში, რომელიც იქნება სათანადო ხარისხის სამომავლო გარანტია.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მართლაც მოქნილია, რადგან ის აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას მოირგონ თავიანთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ჩაერთონ არჩევით აქტივობებში. თუმცა მისი შინაარსი მაინც არასრულყოფილი რჩება. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს დარგობრივი და მასთან დაკავშირებული კურსების უფრო ფართო არჩევანი.

სასწავლო გეგმას აკლია რამდენიმე კრიტიკული კურსი, რომელიც აუცილებელია დარგისთვის, როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი საგნების სახით. კურსები, როგორიცაა ინკლუზიური ცეკვა, მოძრაობის ანატომია, კოსტიუმების ისტორია, სცენოგრაფია, ქორეოგრაფია კინოში, ქორეოგრაფია თეატრში, კასტინგისთვის მომზადება, საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, სიმბოლოები ხელოვნებაში, მსოფლიო და ქართული თეატრის ისტორია და მსგავსი საგნები არ არის პროგრამაში ჩართული. ეს ძირითადად ის კურსებია, რომელთა შედეგებიც უშუალოდ უწყობს ხელს ქორეოგრაფიის პროგრამის შედეგებს, თუმცა მათ პროგრამაში საერთოდ ვერ ვხედავთ. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამა, ამ ეტაპზე, არ მოიცავს სხვადასხვა კურსს, რომელიც აუცილებელია სასწავლო გეგმის შედეგების დიაგრამაში მითითებული - „0“-ი შედეგის მისაღწევად. პროგრამას შეიძლება დაემატოს ისეთი კურსი, როგორიცაა „სცენის მხატვრული დიზაინი და შემოქმედებით თანამშრომლობა სცენის პერსონალთან“ (განათება, ხმა, დეკორაცია). ზემოაღნიშნულ შედეგს ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს პროგრამის რომელიმე სპეციალიზებული კურსი, გარდა „ქორეოგრაფიული სასცენო ხელოვნებისა“, სადაც სტუდენტი მხოლოდ ამ ცოდნას იღებს. ეს არასაკმარისია საბოლოოდ შედეგის მისაღწევად. ვინაიდან, პროგრამაში მათი არყოფნა შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის მცირე მოცულობით (180 კრედიტით) და ასევე კურსებზე კრედიტების არასწორი განაწილებით. თითქმის ყველა კურსს ენიჭება 6 კრედიტი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ კურსზე ეს მოცულობა შეიძლება გადაჭარბებული იყოს, ზოგს კი დამატებითი საათი სჭირდება. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ კრედიტების ასეთი ღირებულებების მინიჭების სურვილი წარმოიშვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან, რომელმაც ასევე

განაცხადა, რომ ხელმძღვანელებს აქვთ მოქნილობა, განსაზღვრონ კრედიტის განსხვავებული განაწილება თითოეული კურსისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელებმა გადახედონ პროგრამის შინაარსს და მინიჭებულ კრედიტებს, დარწმუნდნენ, რომ ისინი შეესაბამება რეალურ დროს, რომელიც საჭიროა ეფექტური სწავლისთვის.

გარდა ამისა, შინაარსის მრავალფეროვნება მოდულში „მსოფლიოს ხალხთა ცეკვა“ (მსოფლიოს ხალხთა ცეკვა I-VI) და მისი განაწილება პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში არ ჩანს რეალისტური სასურველი შედეგების მისაღწევად (მოდულის შინაარსის გათვალისწინებით, საჭიროა ცეკვების დიდი რაოდენობის ათვისება).

3. კარგი - 6-დან 8 ქულამდე.
4. ფრიადი - 9-დან 10 ქულამდე

მეორე ტურში კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს: 1. მასწავლებლის მიერ კონსულტაციების დროს მომზადებული ქორეოგრაფიული გაკვეთილი. საკონსულტაციო ჯგუფები ფორმირდება აპლიკანტების წინასწარი არჩევანის გათვალისწინებით და მოიცავს როგორც

ქართულ, ისე მსოფლიო ხალხურ ცეკვებს. 2. აპლიკანტის მიერ წინასწარ შერჩეული და მომზადებული საცეკვაო კომბინაცია (24-32 მუსიკალური ტაქტი). 3. საგამოცდო კომისიის მითითებით ტურის დროს იმპროვიზებულად შედგენილი საცეკვაო კომბინაცია (16-24 მუსიკალური ტაქტი).

შეფასების კრიტერიუმები (100-ქულიანი სისტემა):

100% ქორეოგრაფიული გაკვეთილი და წარმოდგენილი საცეკვაო ელემენტები შესრულებულია მუსიკალურად, ტექნიკური სიზუსტითა და შესრულების კულტურის დაცვით.

75%: დავალება შესრულებულია მნიშვნელოვანი შეცდომების გარეშე, თუმცა ცალკეული მოძრაობებისა და ელემენტების დემონსტრირებისას შეიმჩნევა მცირე ტექნიკური ან მუსიკალური უზუსტობები.

50%: საგამოცდო დავალება შეიცავს აშკარა შეცდომებს.

25%: საგამოცდო დავალება შეიცავს მნიშვნელოვან შეცდომებს.

0%: დავალება არ შესრულებულა.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, სადაც საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ლოგიკურად შეესაბამება სწავლის დონესა და სასწავლო ენას. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარდა (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად), სავალდებულოა უნივერსიტეტის შემოქმედებითი ტურები, რომლებიც შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტს. თუმცა, აღნიშნულ ტურებში წარმოდგენილი დავალებები ძირითადად ასახავს კანდიდატების ქორეოგრაფიული შესრულების უნარებს და ნაკლებად ფოკუსირდება შემოქმედებით და სასცენო ძირითად კომპეტენციებზე.

წარმოდგენილ პროგრამაში პირველი ტურის განმავლობაში ფასდება მხოლოდ აპლიკანტის მუსიკალური შესაძლებლობები. მეორე ტურში ფასდება შემდეგი ასპექტები: 1. პირველი დავალების მეშვეობით - კანდიდატის მეხსიერება, მოძრაობების შესწავლის უნარი და დოკუმენტში მითითებული ცეკვის შესრულების სხვადასხვა კომპეტენცია (როგორცაა მუსიკალური სმენა, რიტმის გრძნობა და მუსიკალური მეხსიერება). 2. მეორე კომპონენტის მეშვეობით - აპლიკანტის ინდივიდუალური საცეკვაო და მუსიკალური უნარები. 3. მესამე ნაწილის მეშვეობით - აპლიკანტის თანდაყოლილი მუსიკალური და საცეკვაო იმპროვიზაციის უნარები, ასევე საცეკვაო მოძრაობების შექმნის პოტენციალი.

ყველა ეს საცეკვაო შესრულების კომპეტენცია და საბაზისო უნარები უდავოდ მნიშვნელოვანია ქორეოგრაფის შემდგომი განათლებისთვის. თუმცა, ისინი არ მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს: ქორეოგრაფიის ხელოვნებისთვის სპეციფიკური საბაზისო შემოქმედებითი უნარების შეფასებას. ეს მოიცავს სივრცით აღქმას, მხატვრულ ხედვასა და აზროვნებას, ანალიტიკურ უნარს და აპლიკანტის ცოდნასა და ინტერესს ხელოვნების ზოგად საკითხების მიმართ. ასეთი უნარები არის აუცილებელი ქორეოგრაფის პროფესიის სწავლისა და სწავლების პროცესისთვის.

მიღების წინაპირობები, რომლებიც განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ ხელს უწყობს მსახიობ-

მოცეკვავეების ან პედაგოგ-ქორეოგრაფების მომზადებისა და კვალიფიკაციის მინიჭების მიზნების მიღწევას. თუმცა, ეს წინაპირობები არ არის სათანადოდ შესაბამისობაში იმ მოთხოვნებთან, რომლებიც აუცილებელია თეატრალური წარმოდგენის დადგმაზე სპეციალიზებული ქორეოგრაფის განათლებისა და განვითარებისთვის.

უმალესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა დაამატოს საგამოცდო დავალებები და მოთხოვნები პროგრამაზე მიღების წინაპირობებში. ეს მიზნად უნდა ისახავდეს აპლიკანტების თანდაყოლილი უნარებისა და თვისებების შეფასებას, რომლებიც აუცილებელია თეატრალური წარმოდგენის დადგმაზე სპეციალიზებული ქორეოგრაფის განათლებისა და პრაქტიკისთვის. ასეთ თვისებებს მიეკუთვნება შემოქმედებითი უნარი, ორგანიზაციული უნარები, სივრცითი აღქმა, მხატვრული ხედვა, კრიტიკული აზროვნება და ძირითადი შემოქმედებითი ანალიტიკური უნარები. პროგრამაზე მიღების შემდეგ, შესაძლებელია ამ შესაძლებლობების შემდგომი განვითარება და დახვეწა პროგრამის მიზნების მისაღწევად.

თვითშეფასების ანგარიშის 2.1 პუნქტის მტკიცებულებების ნაწილში მითითებულია ინტერვიუების თემატური შინაარსი, როგორც ერთ-ერთი წყარო (N3). ეს მტკიცებულება ექსპერტებისთვის გაუგებარია, რადგან ინტერვიუები არ არის მოთხოვნილი მიღების კრიტერიუმების ფარგლებში (თუმცა მათი ჩართვა რეკომენდებულია) და არც რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტია წარმოდგენილი ასეთი ინტერვიუების შესახებ.

წარმოდგენილ დოკუმენტში შემოქმედებითი ტურების მოთხოვნებისა და შეფასების შესახებ ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფის/მსოფლიო ხალხური ცეკვის ქორეოგრაფის საბაკალავრო პროგრამისთვის, მიუხედავად იმისა, რომ კრიტერიუმები არის გაწერილი, შეფასების პროცესი აბსტრაქტულად გამოიყურება. ქულების განაწილება კრიტერიუმების მიხედვით მოკლებულია სიცხადესა და დეტალურობას. **მაგალითად, გაურკვეველია:** რამდენი დავალება ან მოთხოვნაა შესული თითოეულ კრიტერიუმში? რამდენი ქულა ენიჭება თითოეულ კრიტერიუმს და კრიტერიუმების ფარგლებში არსებულ დავალებებს? როგორ წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტი გადალახავს ზღვარს რიტმის გრძნობისა და მუსიკალური მეხსიერების უნარების დადებითი შეფასებით, მაგრამ სრულიად ვერ აკმაყოფილებს მუსიკალური სმენის კრიტერიუმს, ან პირიქით?

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში პირველი ტურის კრიტერიუმებში არ არის ნახსენები კომპონენტი "პლასტიკურობა". ექსპერტებისთვის აღნიშნული მოთხოვნა ცნობილი გახდა მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრისას. გარდა ამისა, გამოცდის ფორმატი—ზეპირი, როგორც ეს მითითებულია წარმოდგენილ დოკუმენტებში—არ შეესაბამება ამ კონკრეტულ კომპონენტს, "პლასტიკურობას."

მსგავსი პრობლემა არსებობს მეორე ტურის მოთხოვნებშიც (იხილეთ აღწერა). საბოლოო კუმულატიური შეფასება, რომელიც გამოხატულია პროცენტებში შემოქმედებითი ტურის მოთხოვნებსა და შეფასებებში, არ იძლევა მკაფიო გაგების საშუალებას და ვერ უზრუნველყოფს სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების პროცესს. **აუცილებელია ქულების განაწილება შეფასების კრიტერიუმების თითოეული ნაწილისთვის და თითოეული კრიტერიუმის შიგნით არსებული კომპონენტებისთვის. ეს, თავის მხრივ, გაარკვევს**

კუმულატიური პროცენტული შედეგების საკითხს და გააუმჯობესებს შეფასების პროცესის საერთო სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დებულებების თანახმად (19.3), სტუდენტთა ყოველწლიური შესაძლო მიღება იგეგმება პროგრამის სწავლის საფასურის, მოთხოვნის, აკადემიური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტებისთვის ცნობილი იყო, რომ პროგრამა გეგმავდა 30 სტუდენტის მიღებას, თუმცა ინტერვიუს პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს რიცხვი, სავარაუდოდ, 20 სტუდენტამდე შეიცვლებოდა. ამის გათვალისწინებით, ექსპერტების აზრით, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, შრომის ბაზარი, როგორც კომერციული, ისე სახელმწიფო, ვერ შეძლებს ყოველწლიურად ამდენი ქორეოგრაფის დასაქმებას. ეს განსაკუთრებით მაშინ შეესაბამება სიმართლეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის სხვა უნივერსიტეტებიც ამზადებენ იმავე კვალიფიკაციის სპეციალისტებს.

ასევე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური და მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით და აქვს ძალიან სასიამოვნო, კარგად აღჭურვილი ობიექტები სხვადასხვა შენობებით, ამჟამად მას არ შეუძლია ეფექტურად უზრუნველყოს ქორეოგრაფიის პროგრამის განხორციელება 2 წლის განმავლობაში თუნდაც 20 ან 40 სტუდენტისთვის. ექსპერტებმა მოინახულეს სივრცე (არტ-ჰოლი), სადაც მთავარი პრაქტიკული საგნები უნდა ტარდებოდეს დღის განმავლობაში (კვირაში მინიმუმ სამჯერ). ეს სივრცე საქართველოს უნივერსიტეტიდან ძალიან შორსაა, საცეკვაო დარბაზის პირობები არ არის სასურველი, არის მხოლოდ ერთი საჭირო ზომის დარბაზი (რომელიც უკვე ნაქირავებია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები ქორეოგრაფიაში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებისთვის, შეფასების კრიტერიუმების ფარგლებში ქულების განაწილება (როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში). ეს მოიცავს კრიტერიუმის თითოეული ნაწილისთვის და კომპონენტებისთვის ცალკეულ კრიტერიუმებში ქულების განაწილებას, მოთხოვნების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, თვითშეფასების ანგარიშსა და ცალკე წარდგენილ დოკუმენტს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც ასახავს პროგრამის შემოქმედებითი ტურების მოთხოვნებს და შეფასების კრიტერიუმებს, განსაკუთრებით პირველ ტურში „პლასტიურობის“ კრიტერიუმის ჩართვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, უზრუნველყავით გასაუბრების თემებს შორის თანმიმდევრულობა, რომლებიც მითითებულია მტკიცებულებად. .
- რეკომენდებულია, რომ გარდა პროგრამაზე მიღების დადგენილი წინაპირობებისა, უსდ-მ დაადგინოს საგამოცდო ამოცანები და მოთხოვნები, რომლებიც გამოავლენს იმ თანდაყოლილ, შემოქმედებით შესაძლებლობებსა და მახასიათებლებს, რაც აუცილებელია ქორეოგრაფ-რეჟისორის პროფესიაში განათლების მისაღებად.
- რეკომენდებულია, გაითვალისწინოთ პროგრამის სპეციფიკა, შრომის ბაზრის მოთხოვნები და დაწესებულების რესურსების შესაძლებლობები სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის, საგანმანათლებლო პროცესისა და კურსის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☐	X	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სტუდენტები ინტენსიურად შეისწავლიან ქორეოგრაფიის პროფესიის ძირითად ელემენტებს შესაბამისი პროფესიული და შემოქმედებითი უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებით. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების ბუნდოვანების, ძნელია იმის შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება ამ შედეგებს პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო კომპონენტები. ზოგადად, პრაქტიკულ საქმიანობებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია ხალხური ქორეოგრაფიის საფუძვლების შესასწავლად. თუმცა, მნიშვნელოვანია სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა შეასრულონ პროფესიული პრაქტიკა უნივერსიტეტის გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ სტუდენტებს შეეძლებათ იმუშაონ „სხვადასხვა კერძო ან სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან, კომპანიებთან, სტუდიებთან და წრებთან“ (გვ. 4), არ არის მოწოდებული არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ სტუდენტები შეძლებენ თავიანთი პრაქტიკის განხორციელებას რომელიმე ამ დაწესებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო გეგმა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხელშეკრულებების დადება კულტურულ ან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

- რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო კომპონენტის ორგანიზება და დაგეგმვა პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პრაქტიკული და თეორიული/მეთოდოლოგიური ცოდნის დაბალანსებულ მიწოდებას: როგორც წესი, კონკრეტული სასწავლო კურსი წარმოადგენს რამდენიმე კომპონენტს (პრაქტიკულ/შემოქმედებით და თეორიულ/მეთოდოლოგიურ). შესაბამისად, სასწავლო

კომპონენტის განხორციელება ხდება კონკრეტული კურსის თუ კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებით.

სასწავლო პროგრამის შედგენისას, დასახული მიზნებისა და სასურველი შედეგების მისაღწევად შერჩეულ იქნა შესაბამისი სწავლების მეთოდები და აქტივობები:

ვერბალური სწავლების მეთოდები (ახსნა-განმარტება, თხრობა, განხილვა, ლექცია და სხვ.)

· პრაქტიკული მეთოდები (ვიზუალიზაციის მეთოდი, სისტემური ცნობიერების სავარჯიშოები და მოქმედებები)

· აუდიო და ვიზუალური მეთოდი

· გუნდური მუშაობა

· წერილობითი დავალება

· ახსნა-განმარტებითი მეთოდი

· წიგნზე მუშაობის მეთოდი

· კვლავწარმოებადობა და სისტემური მეთოდი;

· დემონსტრაციის მეთოდი

· იმპროვიზაცია

· მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

· პრეზენტაციის წარდგენა

· თანამშრომლობითი სწავლება

· ჯგუფური მუშაობა ინდივიდუალიზაციასთან კომბინაციაში

· კეთებით სწავლება

· შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;

· პრობლემის გადაჭრის სავარჯიშოები

· აქტიური სწავლების მეთოდი (პრობლემური ლექცია; ჰეურისტიკული საუბარი, კვლევითი ლაბორატორიული სამუშაო; დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა)

მთავარი კურსების უმეტესობა შემუშავებულია რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპის საფუძველზე: თანდათანობითი პროგრესია მასალის - მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ; მრავალკომპონენტიანი სწავლება (სპეციალიზებული კურსების უმეტესობაში ეს

მოიცავს: პრაქტიკული აქტივობები, თეორიული და მეთოდოლოგიური ინფორმაციის მიწოდება, ცეკვების ჩაწერა სტუდენტების მიერ, პრეზენტაციის მომზადება).

სწავლების მეთოდოლოგია ძირითადად შეესაბამება დარგის სპეციფიკას. უსდ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას. თუმცა, გაურკვეველია თუ რამდენად არის პროგრამაში ინტეგრირებული შესაბამისი სწავლების მეთოდები და ინოვაციური ტექნოლოგიური მიდგომები.

ტრადიციული სწავლების მეთოდებთან ერთად, პროგრამამ უნდა დანერგოს ინოვაციური მიდგომები, როგორიცაა „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდი და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები. პრაქტიკულ/ქორეოგრაფიულ კურსებში, „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მიდგომა საშუალებას მისცემს სტუდენტებს აკონტროლონ საკუთარი სწავლის პროცესი, ხელი შეუწყოს აქტიურ ჩართულობას და მაქსიმალურად გამოიყენონ დრო პრაქტიკული გამოცენებისა და კოლაბორაციული სწავლისთვის. ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდების ინტეგრირება საშუალებას აძლევს პედაგოგებს გაითავისონ ინოვაციები, მოერგონ განვითარებად საგანმანათლებლო გარემოს და მოამზადონ სტუდენტები მათი პროფესიის მზარდი მოთხოვნებისთვის. ეს იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას დაკავშირდეს ცეკვა და ქორეოგრაფიული ხელოვნება თანამედროვე ტექნოლოგიების მრავალმხრივ პოტენციალთან და ეფექტურობასთან.

მეთოდოლოგია უნდა მოიცავდეს უფრო თანამედროვე მიდგომებს. მაგალითად, შემდეგი მეთოდები შეიძლება ინტეგრირდეს საქორეოგრაფიო პროგრამაში: ა) ციფრული ქორეოგრაფიული პლატფორმები: ქორეოგრაფიული თანამშრომლობისა და გაზიარებისთვის შექმნილი ონლაინ პლატფორმები, რომლებსაც შეუძლიათ დააკავშირონ მოცეკვავეები სხვადასხვა ადგილიდან. სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან ქორეოგრაფია ვირტუალურად და ჩაერთონ კულტურულ გაცვლებში; ბ) პირადი ნარატივები და ამბების თხრობა: მოსწავლეების წახალისება, გამოიყენონ პირადი გამოცდილება და ემოციები ქორეოგრაფიის შესაქმნელად, შეიძლება გახდეს ღრმად მნიშვნელოვანი და ავთენტური საცეკვაო ნამუშევრების შექმნის საფუძველი. ამბების თხრობა მოძრაობის საშუალებით აძლიერებს ქორეოგრაფიის ემოციურ რეზონანსს; გ) ვირტუალური მასტერკლასები და ვორქშოფები: ვირტუალური მასტერკლასებისა და სემინარების ჩატარება მსოფლიოს ცნობილ მოცეკვავეებთან და

ქორეოგრაფებთან სტუდენტებს აცნობს სხვადასხვა ხედვასა და სტილს, რაც აძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

ეს მეთოდები სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას გაიღრმავონ ცოდნა და შეიძინონ უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც მათი პრაქტიკისთვის, ასევე გამოყენებადია უფრო ფართო ინტერდისციპლინურ კონტექსტში.

<https://www.masterclass.com/classes/misty-copeland-teaches-ballet-technique-and-artistry>

<https://www.masterclass.com/classes/parris-goebel-teaches-creativity-in-choreography>

<https://www.dance-masterclass.com/>

<https://www.youtube.com/watch?v=2v1N8Dijvpw>

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა - სწავლება - სწავლის მეთოდები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უმაღლეს სასწავლებელში პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული ელექტრონული რესურსები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სწავლების მეთოდოლოგია მოიცავდეს უფრო თანამედროვე მიდგომებს (მაგალითად, ციფრული ქორეოგრაფიული პლატფორმები, პერსონალური თხრობა და ამბის გადმოცემა, ვირტუალური მასტერკლასები და სემინარები, „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდოლოგია).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებლებმა განიხილონ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ისეთი ინოვაციური მიდგომის გამოყენება, როგორიცაა "შებრუნებული კლასის მეთოდი" და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტი 2.4-ის შეფასება წარმოაჩენს ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების კომბინაციას, რაც ასახავს დაწესებულების ძალისხმევას უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება და სტუდენტთა განვითარება. პროგრამას გააჩნია რამდენიმე დადებითი ასპექტი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ეკონტაქტონ აკადემიურ პერსონალს საკუთარი მოსწრების განხილვის მიზნით და შეფასებებზე განმარტებების მისაღებად. დამატებით, მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ საკუთარი შეფასებები უნივერსიტეტის დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ონლაინ სისტემას მნიშვნელოვანი როლი აკისრია შეფასებების მართვაში, სტუდენტებისთვის შედეგების დროულ მიწოდებასა და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფაში. პლაგიატის პრევენციისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის

მიზნით გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა Turnitin, რაც ადასტურებს დაწესებულების მისწრაფებას მაღალი აკადემიური სტანდარტების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსების უმეტესობა დეტალურად ასახავს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების კრიტერიუმებს, ხშირად მათში არ არის მკაფიოდ წარმოჩენილი მნიშვნელოვანი დეტალები. ეს დეტალები მოიცავს შესაფასებელი მასალის მოცულობას, თემების მრავალფეროვნებას, რომელთა გადმოცემაც მოეთხოვებათ სტუდენტებს. ხშირ შემთხვევაში, ეს სილაბუსები მექანიკურად მიჰყვება უნივერსიტეტის შეფასებების ზოგად ჩარჩოს, მათი განსხვავებული შინაარსისა და მიზნების გათვალისწინების გარეშე.

კურსის საბოლოო მიღწევების მთავარი მაჩვენებელი არის მისი შეფასების სისტემა. სამწუხაროდ, რამდენიმე სილაბუსში არ არის ზუსტი და კარგად გაწერილი ინფორმაცია ამის შესახებ.

მუსიკის თეორიისა და სოლფეჯიოს საფუძვლების კურსის ანალიზისას (რომელიც პროგრამის ერთ-ერთი შედეგის განმსაზღვრელია) აღმოჩნდა, რომ კურსის შინაარსში არ არის მითითებული საშინაო დავალებები, თუმცა ეს კომპონენტი, როგორც აღმოჩნდა, ფასდება გამოცდის დროს. შესაბამისად, გაურკვეველია, რომელი ან რამდენი დავალებაა საჭირო გამოცდისთვის. შეფასების კრიტერიუმებიც ამ კომპონენტისთვის არ არის მკაფიოდ გაწერილი და შეფასება საკმაოდ აბსტრაქტული ჩანს.

"მსოფლიო და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის" კურსს აქვს სათაური, რომელიც მოიცავს უზარმაზარ ინფორმაციას, რასაც ამ ერთი კურსის თემატური მასალა სრულად ვერ ფარავს. სასარგებლო იქნებოდა თემების მრავალფეროვნების გაზრდა სილაბუსში. წერილობითი გამოკითხვები (გამოცდის მხოლოდ ერთი კომპონენტი მოიცავს პრეზენტაციას) კურსის შეფასების მთავარი ფორმაა, რაც არასახარბიელოა ზეპირი კომუნიკაციის უნარების გაძლიერების თვალსაზრისით. სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფორმით გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და შეფასდნენ სხვადასხვა კომპონენტში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კურსის შინაარსში სავალდებულო საკითხავი მასალის გარდა სხვა დავალებები არ არის მითითებული.

კურსში "თეატრალური გრიმის ხელოვნება" არ არის გაწერილი საბოლოო გამოცდის პრაქტიკული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და ქულების განაწილება.

კურსში "ქორეოგრაფიული სასცენო ხელოვნება VI" სტუდენტებს პირველ კვირაში ეძლევათ დავალება: "სხვადასხვა ქორეოგრაფიული ლიტერატურიდან შეარჩიეთ გამოჩენილი ქორეოგრაფების მიერ დადგმული ცეკვის ნიმუშები, რომლებიც ჩაწერილია სქემატურ-სიტყვიერი/კომენტარების ფორმატში." თუმცა, შუალედურ გამოცდაზე (V კვირა) შეფასების კომპონენტად გამოყენებულია ქორეოგრაფიული ეტიუდი და წარმოდგენილია მისი შეფასების კრიტერიუმები, რაც მიუღებელია. გაურკვეველია, როდის მიეცათ სტუდენტებს ეტიუდზე მუშაობის დავალება. სილაბუსის შინაარსში მხოლოდ "წაკითხული" ცეკვის დადგმაზეა გამახვილებული ყურადღება, რომლის პრეზენტაციაც მე-6 კვირაშია გათვალისწინებული (სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომაა, რომ მისი შეფასება მე-5 კვირაშია ნაჩვენები). თუმცა, ძირითადი პრობლემა მდგომარეობს როგორც ეტიუდის, ისე "წაკითხული" ცეკვის დადგმის შეფასების კრიტერიუმების სპეციფიკაში. ეს დავალება ძალიან სპეციფიკურია და სრულიად განსხვავებული არა მხოლოდ ეტიუდის, არამედ ცეკვის შეფასების კრიტერიუმებისგანაც. აქ უნდა შეფასდეს სტუდენტის უნარი სწორად "წაკითხოს" გრაფიკული ნიშნები კომენტარებით, როგორ გაიგოს და რამდენად ზუსტად გადაიტანა ქაღალდზე დაწერილი ცეკვა სივრცეში. შესაბამისად, შუალედური შეფასების ეს ფორმა და მისი კრიტერიუმები არ შეესაბამება კურსის შინაარსს. მსგავსი პრობლემა შეინიშნება მე-9 კვირაში დაგეგმილ შუალედურ გამოცდაშიც. პრაქტიკაში ეს გულისხმობს საგამოცდო ქორეოგრაფიული კომპოზიციის ფრაგმენტის დადგმას. სტუდენტის შეფასება კი ხდება ქორეოგრაფიული ეტიუდის კრიტერიუმებით, რაც ასევე არამართებულია. მე-13 კვირაში მითითებულია თეორიული (სავარაუდოდ ზეპირი) და წერილობითი პრეზენტაცია. თუმცა, გაურკვეველი რჩება, როდის მიეცათ სტუდენტებს თეორიული (ზეპირი) პრეზენტაციის თემა ან დავალება.

იმავე მოდულში, „ქორეოგრაფიული სასცენო ხელოვნების" I, II და III კურსებზე, სტუდენტი ფასდება პრეზენტაციით, რომლის ერთ-ერთი კრიტერიუმია ლოგიკურად თანმიმდევრული ლიბრეტოს წარდგენა. სასწავლო მოდულის შინაარსის გადახედვისას შევნიშნეთ, რომ ეს

კომპონენტი ისწავლება მხოლოდ იმავე მოდულის IV კურსიდან. შესაბამისად, სტუდენტებისგან მისი მოთხოვნა ამ პერიოდამდე მიუღებელია.

"სამეჯლისო-სპორტული ცეკვის" კურსი მიზნად ისახავს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების განხილვას. თუმცა, ლექციის ფორმატი და მისი შინაარსი არ ასახავს თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას. მხოლოდ პრაქტიკული მუშაობის ფორმები და შესაბამისი სახელწოდებებია ჩამოთვლილი. გარდა ამისა, გამოცდისთვის საჭირო თეორიულ-მეთოდოლოგიური მასალა, რომელსაც საკმაოდ მაღალი შეფასების ქულა აქვს, ლექციებზე საერთოდ არ იხსნება. ეს მხოლოდ დავალების სახით არის მითითებული, სადაც აღნიშნულია, რომ სტუდენტები უნდა გაეცნონ მითითებულ ნაშრომს. შინაარსში არ არის ნახსენები თეორიულ-მეთოდოლოგიური სემინარები და ქვიზებში მოცემული დავალებები პრაქტიკული ხასიათისაა. შერჩეული შეფასების მეთოდები, მათი ქულები და კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს ამ კურსისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და განხორციელებულ საგანმანათლებლო აქტივობებს.

სტანდარტი 2.4-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახავდეს თითოეული კურსის სპეციფიკას და შეესაბამებოდეს მათთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. უნდა დადგინდეს გამჭვირვალე და მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები სტუდენტთა მიღწევების ზუსტი გაზომვისა და მათი აკადემიური განვითარების ხელშეწყობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ თითოეული აკადემიური კურსის თუ საგნის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მორგებული იყოს კურსის სპეციფიკაზე, შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ეფექტურად ზომავდეს ამ შედეგების მიღწევას;

- რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები იყოს გამჭვირვალე და გასაგებად გაზიარებული სამართლიანობისა და ყველა სტუდენტისთვის გასაგები ფორმით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ავლენს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის ვალდებულებას, სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებითა და სტუდენტთა მაქსიმალური ინფორმირებულობის ხელშეწყობით. პროგრამა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს უნივერსიტეტი გამოირჩევა კონსულტაციისა და მხარდაჭერის სრულყოფილი სერვისებით, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება სასწავლო პროცესების დაგეგმვაში, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერის განვითარებაში. საორიენტაციო დღეები და ტრენინგ სესიები ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციას საუნივერსიტეტო გარემოში, ხოლო საკონსულტაციო საათები უზრუნველყოფს ინდივიდუალური აკადემიური მხარდაჭერისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტის ონლაინ პლატფორმა, My UG, აუმჯობესებს ხელმისაწვდომობას და საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ წვდომა სასწავლო კურსების სილაბუსებზე, დაამყარონ კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან და წარადგინონ განცხადებები თუ მოთხოვნები. ეს სისტემა უზრუნველყოფს საკითხების ეფექტურად გადაჭრას და ეფექტიანად უჭერს მხარს სტუდენტების საჭიროებებს.

სტუდენტური კლუბებისა და სერვისების ცენტრი ხელს უწყობს აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ და აკადემიურ რესურსებს სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტებისთვის. კარიერული განვითარების ცენტრი სემესტრში ატარებს ტრენინგ სესიებს, რომლებიც სტუდენტებს აღჭურავს სამსახურის განაცხადებისა და

გასაუბრებისთვის საჭირო უნარებით, ხოლო დასაქმების ფორუმები ხელს უწყობს კავშირების დამყარებას პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ადგილზე ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ წარმატებული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სტიპენდიები ხელს უწყობს მოტივაციასა და აღიარებას. ფაკულტეტი მოიცავს გამოცდილ პრაქტიკოსებს, თუმცა დაინტერესებულმა მხარეებმა დააფიქსირეს, რომ პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად უპირატესობას ანიჭებენ პროგრამის ხელმძღვანელების აკადემიური ხარისხს. სტუდენტებმა აღნიშნეს ეფექტური საკომუნიკაციო არხები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და წვდომა ყოვლისმომცველ მხარდამჭერ სერვისებზე. შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმები უზრუნველყოფს მუდმივ გაუმჯობესებას, სადაც სტუდენტები რეგულარულად აფასებენ აკადემიურ აქტივობებსა და სერვისებს.

თუმცა, ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი არ სთავაზობს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური კეთილდღეობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი წარმატებული და მდგრადი სწავლისთვის. მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის პროფესიული ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფა მათი ანონიმურობის დაცვით. დამატებით, რეკომენდებულია სტრესის მართვის ტექნიკების სწავლების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას უკვე დამყარებული აქვს პარტნიორობა ორ მნიშვნელოვან დამსაქმებელთან და აქვს აქტიური შეთანხმებები მრავალ საერთაშორისო უნივერსიტეტთან, ეს ძალისხმევა, მართალია საგულისხმოა, მაგრამ არ არის საკმარისი გლობალური აკადემიური და პროფესიული ლანდშაფტის მხარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მემორანდუმების გაფართოება პოტენციურ დამსაქმებლებთან და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და ფაკულტეტის შესაძლებლობების გაფართოებისთვის.

დამსაქმებელთა ფართო წრესთან კავშირების გაძლიერება სტაჟირებისა და დასაქმების დამატებით გზებს ქმნის, რაც სტუდენტებს პრაქტიკული უნარებითა და რეალური გამოცდილებით აღჭურავს. მსგავსად, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან

თანამშრომლობის გაფართოება გახსნის ახალ შესაძლებლობებს გაცვლითი პროგრამებისთვის, ერთობლივი კვლევითი ინიციატივებისთვის და ინოვაციური საგანმანათლებლო პრაქტიკის ხელმისაწვდომობისთვის.

პროგრამა აჩვენებს აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას და უზრუნველყოფს ძლიერ მხარდაჭერას სტუდენტთა მიღწევებისა და განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არსებული ინიციატივები მყარ საფუძველს ქმნის, საჭიროა პარტნიორული ურთიერთობების უფრო ფართო ქსელის შექმნა სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მთლიანად ინსტიტუციისთვის პოტენციური სარგებლის სრულად გამოსავლენად. რეკომენდაციების განხორციელება ზემოთ მოცემული სახით კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროგრამის ხარისხს და სტუდენტთა კმაყოფილებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩემი UG;
- სტუდენტური კლუბებისა და სერვისცენტრების დებულებები;
- დასაქმების მხარდაჭერის სამსახურის დებულება;
- პერსონალის წესდება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია სტუდენტებისთვის პროფესიონალურ და ანონიმურ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე წვდომის შესაძლებლობების შექმნა.

სასურველია, პოტენციურ დამსაქმებლებთან და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფართოება სტაჟირების, დასაქმების, აკადემიური გაცვლითი პროგრამების, ერთობლივი კვლევითი ინიციატივებისა და ინოვაციურ საგანმანათლებლო პრაქტიკებზე წვდომის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაცი ო და მხარდაჭერი სერვისები	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს უსდ-მ იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინტელექტუალურ და შრომით კაპიტალს თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციებით; ყველა ჩართულია უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიულ მიზნების მიღწევაში, ასევე, ხელს უწყობს უსდ-ს განვითარებას და ეფექტიან მუშაობას. საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასა და მისიაში გაწერილ ღირებულებებსა და პრინციპებს.

საქართველოს უნივერსიტეტი მართავს პერსონალს ძირითადად საერთაშორისო მენეჯმენტის სტანდარტების შესაბამისად - ISO 9001: 2015. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს უნივერსიტეტში პერსონალის მუშაობის იდენტიფიცირება, შერჩევა, მიღება, ორიენტაცია, პროფესიული განვითარება, რისკების შეფასება და შეფასების პროცედურები შეესაბამება საერთაშორისო მენეჯმენტის სტანდარტებს.

საქართველოს უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია ოპტიმალური რაოდენობის კადრებით. თითოეული თანამშრომელი იცნობს უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც ასახულია მათი სტრუქტურული ერთეულის დებულებასა და სამუშაოს აღწერილობაში. პროფესიული მოვალეობებისა და კომპეტენციების შესაბამისად, უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო, კვლევით, ადმინისტრაციული და კოლეგიალური ორგანოების საქმიანობაში.

პროგრამის განხორციელებაში სულ 34 ადამიანია ჩართული. მოწვეული ლექტორები შეირჩა უნივერსიტეტის საკადრო დებულების თანახმად.

კონკრეტული აქტივობების კომპლექსურობისა და სხვა უსდ-ებში პერსონალის დატვირთვიდან გამომდინარე, ყოველი სემესტრის დასაწყისში, უნივერსიტეტი არეგულირებს პერსონალის დატვირთვას პერსონალთან შეთანხმების საფუძველზე, რათა უზრუნველყოს მათ მიერ თავიანთი ვალდებულებების ეფექტურად შესრულება. სრულ განაკვეთზე აკადემიური პერსონალი მუშაობს კვირაში 40 საათს (დღეში 8 საათს), ხოლო ნახევარ განაკვეთზე პერსონალი მუშაობს საათობრივი დატვირთვისა და ანაზღაურების პრინციპებზე დაყრდნობით. აკადემიური და კვლევითი პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა განისაზღვრება წლიური დატვირთვის სქემით.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში არიან ჩართულნი კანონმდებლობისა და უსდ-ის შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები (CV, შესაბამისი საგანმანათლებლო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სწავლების გამოცდილება და სამეცნიერო პუბლიკაციებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ჩამონათვალი ბოლო 10 წლის განმავლობაში) ნაწილობრივ ადასტურებს მოწვეული პერსონალისა და მასწავლებლების კვალიფიკაციას, რომელთა უმრავლესობა ხელოვნების სფეროს სპეციალისტია. შესაბამისად, კვალიფიკაციის დამადასტურებელ საბუთებთან ერთად წარმოდგენილია 10 წლის (და, ხშირ შემთხვევაში, უფრო გრძელი პერიოდების) სწავლებისა და შემოქმედებითი გამოცდილების (პროექტების) ჩამონათვალიც.

მასალების განხილვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ არც აკადემიურ და არც პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს არ გააჩნია უმაღლესი აკადემიური ხარისხი (დოქტორის ხარისხი) ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის დარგში, რაც სასურველი იქნებოდა პროგრამის კიდევ უფრო ხარისხიანად განსახორციელებლად. ექსპერტებისთვის ცნობილი, რომ ამ დარგში არის მაღალკვალიფიციური (დოქტორის ხარისხის მქონე) სპეციალისტების დეფიციტი (თუმცა არის რამდენიმე), რადგან ქორეოგრაფია-ქორეოლოგია დოქტორანტურის დონეზე ქვეყანაში ისწავლება სულ რაღაც ათი წელია. თუმცა, ეს არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას, რადგან შესაძლებელია სპეციალისტების მოზიდვა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან აფილირებულნი სხვა უნივერსიტეტებთან.

მასალების ანალიზის დროს დაფიქსირდა შეუსაბამობა, როცა პირადი საქმის ყდაზე მითითებული სახელი განსხვავდება საქალაქის შიგნით განთავსებული პერსონალური ინფორმაციისაგან. კერძოდ, გ.თ.-ს CV წარმოდგენილია რ.თ.-ის კუთვნილ პირად საქმეში.

არის შემთხვევა, როდესაც ხარისხის სერტიფიცირების დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი პერსონალურ საქმეში, მაგალითად: ს.მ.-ს პირადი საქმე – „თეატრალური მაკიაჟის ხელოვნებაში“. ანალოგიურად, მ.გ.-ს პირადი საქმე – სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა არ არის

დადასტურებული („კიბერჰიგიენის საფუძვლები“); დ.ზ.-ს პირადი საქმე – არ არის დადასტურებული სამეცნიერო ნაშრომი („მოქალაქეობა თანამედროვე სამყაროში“); ლ.კ.-ს პირადი საქმე – სწავლების გამოცდილება არ არის დადასტურებული („მსახიობის ოსტატობა და რეჟისურის საფუძვლები“). პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ი.ნ.-ის პირადი საქმე არ ადასტურებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას (საგნები – „მსოფლიოს უდიდესი აღმოჩენები“; „ადამიანის ბიოლოგია და ჯანმრთელობა“; „ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნება“).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეუსაბამოები გამოიკვეთა უსდ-ის მიერ მოწოდებულ პერსონალის სიას, მათ პირად საქმეებსა და სილაბუსებში მითითებულ კურსის ლექტორებს შორის. მაგალითად: კურსის „დებატები და კრიტიკული აზროვნება“ სილაბუსში ლექტორად მითითებულია ა.ზ., მაგრამ პირად ჩანაწერებში და სამტატო ნუსხაში მითითებულია ნ.ბ. კურსის „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ სილაბუსში მითითებულია ე.ა., ხოლო სხვა დოკუმენტაციაში მითითებულია ტ.ტ. „მსოფლიო ხელოვნების ისტორიის“ სილაბუსში ლექტორი საერთოდ არ არის მოხსენიებული. „ქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორის“ სილაბუსში ლექტორად მითითებულია ე.ი., თუმცა ამ კურსს ასწავლის მ.თ. სილაბუსში „ფსიქოლოგიის შესავალი“ კურსის ინსტრუქტორად მითითებულია ნ.ბ., მაგრამ კურსს რეალურად ასწავლის თ.ს.

მისასალმებელია, როცა მაგისტრანტები და დოქტორანტები ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი, რომ მაგისტრანტმა (ტ.ტ.) დამოუკიდებლად ჩაატაროს თუნდაც ისეთი პრაქტიკული კურსი, როგორიცაა „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“. ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე არ არსებობს სტუდენტის თვითგანვითარების აქტივობების მტკიცებულება.

აღსანიშნავია, რომ მოწვეული პერსონალის უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს სასწავლო და პედაგოგიურ პროცესში. თუმცა ისინი მინიმალურად არიან ჩართულნი სამეცნიერო და მეთოდოლოგიურ კვლევით საქმიანობაში. რეკომენდებულია, რომ მოწვეული სპეციალისტები, განსაკუთრებით ისინი, ვინც პასუხისმგებელნი არიან ძირითად, თეორიულ-პრაქტიკული პროფილის კურსებზე, უფრო აქტიურად ჩაერთონ თავიანთ სფეროში არსებულ კვლევებში. ეს გაზრდილი ჩართულობა გააძლიერებს მათ უნარს გადასცენ მაღალი ხარისხის ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენციები, რომლებიც არსებითია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რითაც გაამდიდრებენ სტუდენტებს მნიშვნელოვანი ხარისხისა და ღირებულების ცოდნით.

ამგვარი სამეცნიერო საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეორიული პროფილის კურსებისათვის, როგორიცაა „მსოფლიო და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია“ და „ბალეტის ისტორია“. თუმცა, კურსის კურატორების პირად საქმეებზე დაყრდნობით, არ არსებობს რაიმე

მტკიცებულება ამ საქმიანობაში მათი ჩართულობის შესახებ. გარდა ამისა, ამ კურსების კურატორებს არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია კონკრეტულ სფეროში, როგორცაა ქორეოლოგია და არც წინა პედაგოგიური გამოცდილება.

თანამედროვე ცეკვის კურსის კურატორის (ნ.ჩ.) CV-ში ბაკალავრის ხარისხი წერია ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის სკოლის სახელის გაყოლებაზე, რომელიც არ ანიჭებს აღნიშნულ კვალიფიკაციას. მიუხედავად ამისა, პირმა წარმოადგინა ქ. კანის ცეკვის სკოლის პროფესიული მოცეკვავის დიპლომი, რომელიც შეესაბამება ევროპულ 180 კრედიტიან კვალიფიკაციას. ეს შეუსაბამობა შეიძლება იყოს ტექნიკური შეცდომა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ CV-ში მკაფიოდ მიეთითებოდა სწორი ინფორმაცია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის ძირითად პრაქტიკულ-თეორიულ კურსებზე მოწვეულ ინსტრუქტორთა ნაწილს აქვს ძალიან დაბალი სამეცნიერო და თუნდაც შემოქმედებითი აქტივობა. ეს კურსებია "მსოფლიოს ხალხთა ცეკვა I-VI", "კლასიკური ცეკვა I-II", "კლასიკური ცეკვა III და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცეკვა" და "მსახიობის ოსტატობა და რეჟისურის საფუძვლები".

გარდა ამისა, ხელოვნების პერსონალის ხარისხის სერტიფიცირების დოკუმენტებთან ერთად, წარმოდგენილია შემოქმედებითი გამოცდილების (პროექტების) სრული სია, რაც არ არის რეკომენდებული. ხელოვნების სფეროსთვის მიზანშეწონილია, რომ შემოქმედებითი პროექტების სია შემოიფარგლოს ბოლო ათი წლით და გამოყოფილ იქნას სხვა არასასწავლო (პროფესიული) გამოცდილებიდან, ინდივიდის სამეცნიერო მუშაობისადმი მოთხოვნების მსგავსად.

გარდა ამისა, ზოგიერთი პირადი საქმე შეიცავს პირისსაიდენტიფიკაციო ნომერს, რაც დაუშვებელია პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით.

უსდ-მ წარმოადგინა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრალურად განახლებადი დატვირთვის სქემა. გარდა ამისა, დაწესებულებამ ჩამოაყალიბა საშტატო დებულება, რომლის IV თავის 14.1 მუხლი ადგენს, რომ სრულ განაკვეთზე აკადემიური პერსონალი დასაქმებულია უნივერსიტეტში კვირაში არა უმეტეს 40 საათისა (დღეში 8 საათისა). ამასთან, აკრძალულია სხვა უმაღლეს სასწავლებელში დამატებითი აკადემიური ან სხვა პროფესიული თანამდებობის დაკავება. სამუშაო დატვირთვის სქემაში მითითებულია, რომ პერსონალის ცალკეული წევრისათვის მინიჭებული საათების მაქსიმალური რაოდენობა არის 32 საათი, რაც შეესაბამება დადგენილ სტანდარტს.

საგანმანათლებლო პროგრამებში დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პერსონალისთვის დაკისრებული ფუნქციების

ჯეროვან შესრულებას. გარდა ამისა, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა მოიცავს სტუდენტთა კონსულტირებისათვის სპეციალურად გამოყოფილ საათებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა პერსონალის სტუდენტებთან თანაფარდობის სიზუსტე, რადგან თავდაპირველად ექსპერტებს ეცნობათ 30 სტუდენტის მიღების შესახებ, მაგრამ მოგვიანებით, ინტერვიუების პროცესში ეს რიცხვი შემცირდა 20-მდე. თუ ვივარაუდებთ, რომ პროგრამაში საბოლოო ჯამში 20 სტუდენტი იქნება ჩარიცხული, თანაფარდობა იქნება 1,7 აკადემიური/მოწვეული პერსონალი ერთ სტუდენტზე.

საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და დანართი 1-ის მიხედვით, პროგრამაში სულ ჩართულია 34 პირი, მათ შორის 15 აკადემიური პერსონალი და 19 მოწვეული ლექტორი.

11 პროფესორიდან 9 უნივერსიტეტთან არის აფილირებული, ასევე აფილირებულია 4-ვე ასოცირებული პროფესორი. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის 15 წევრიდან 13 დაწესებულებასთანაა აფილირებული; თუმცა არცერთი მათგანი არ არის სპეციალიზირებული შესაბამის სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის აშკარად შენარჩუნებულია, ეს თანაფარდობა არ ასახავს პერსონალის განაწილებას ძირითადი დისციპლინის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ძირითად საგნებზე პასუხისმგებელი მასწავლებლების უმრავლესობა მოწვეული პერსონალის ნაწილია (ისევე, როგორც პროგრამის ხელმძღვანელები) და არ უკავიათ აკადემიური თანამდებობები, რაც საზიანოა პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისათვის.

პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ უნივერსიტეტი გამოყოფს აუცილებელ აკადემიურ პოზიციებს ძირითადი დისციპლინის სწავლებაში ჩართული პერსონალის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ძირითადი პერსონალისთვის დასაქმების პირობების გაუმჯობესება გადამწყვეტია სწრაფი დენადობის თავიდან ასაცილებლად და პროგრამის უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით, თითოეულ პროგრამას ზედამხედველობს პროგრამის განვითარების საბჭო. ამავე დებულების თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი) პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელობასა და განვითარებაზე.

“12.1. პროგრამის აკადემიური დეკანი უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის მქონე პირია, რომელიც ნიშნავს მიმართულების ხელმძღვანელს და კომპონენტის კურატორს.

12.2. პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პროგრამის თანახელმძღვანელად შესაძლოა განისაზღვროს რელევანტური კომპეტენციის მქონე მოწვეული პერსონალი. პროგრამის ყველა

თანახელმძღვანელი, წინამდებარე დებულების მიზნებისთვის, უთანაბრდება პროგრამის აკადემიურ დეკანს.

12.3. პროგრამის აკადემიური დეკანის კანდიდატურა დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით (თუ პროგრამა არ განეკუთვნება არცერთ დეპარტამენტს - სკოლის დირექტორის წარდგინებით) მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ (დსპ-ის შემთხვევაში, რომლის ადმინისტრირება არ ხდება სკოლის/დეპარტამენტის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელს ნიშნავს პგს).

ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განვითარების საბჭოსთან თანამშრომლობით, უშუალოდ მონაწილეობენ პროგრამის შემუშავებაში. გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესისა და წარმოდგენილი სამეცნიერო/შემოქმედებითი რეზიუმეების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ფლობენ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ნაწილობრივ ცოდნას, მაგრამ არ აქვთ გამოცდილება ამ კუთხით. თუმცა, ეს ხარვეზი გარკვეულწილად შერბილდა პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის განვითარების საბჭოს წევრების აქტიური ჩართულობით.

მოწოდებული დოკუმენტაცია ნაწილობრივ ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ფლობენ აუცილებელ კომპეტენციას პროგრამის სწავლის სფეროში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ხალხთა ცეკვის კურსის ინსტრუქტორის CV-ში მითითებული ასისტენტობის ან სტაჟირების პროგრამის დამადასტურებელი დოკუმენტი პირად საქმეში არ მოიძებნა. გარდა ამისა, პრაქტიკული სწავლების გამოცდილების გარდა, ინსტრუქტორს არა აქვს რაიმე სამეცნიერო აქტივობა (როგორიცაა მონაწილეობა კონფერენციებში, პუბლიკაციები, სტატიები, რეცენზიები და ა.შ. ან რაიმე დარგობრივი შემოქმედებითი აქტივობები (მაგალითად, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, მასტერკლასების ჩატარება, საკონცერტო პროგრამებში გამოსვლა, როგორც პროფესიული ანსამბლის არტისტის, ან სხვა საშემსრულებლო აქტივობები).

მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიური პერსონალი, განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელები, თავისი კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, რეგულარულად ჩაერთონ მხატვრულ-შემოქმედებით და მეთოდოლოგიურ მუშაობაში.

რეკომენდებულია, რომ ქორეოგრაფიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებაში ჩართული პედაგოგები, განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელი, აქტიურად ჩაერთონ არა მხოლოდ საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ საქმიანობაში, არამედ სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობაშიც.

რაც შეეხება პროგრამის მეორე ხელმძღვანელს ქართული ცეკვისა და სასცენო ხელოვნების დარგში, მის კვალიფიკაციას მხარს უჭერს შესაბამისი დარგის მაგისტრის ხარისხი. მათ აქვთ როგორც სწავლების და შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება, ასევე ჩართულნი არიან სამეცნიერო საქმიანობაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ორივე ხელმძღვანელის სტატუსი ეწინააღმდეგება უსდ-ის მიერ პროგრამის ხელმძღვანელებისთვის შემუშავებულ დოკუმენტის - "საგანმანათლებლო პროგრამის დებულება" (მუხლი 12, იხ. აღწერა) მოთხოვნებს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფი/მსოფლიო ხალხური ცეკვის ქორეოგრაფი, ბაკალავრიატი“ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, ისევე როგორც თავად პროგრამაში ორი მოწვეული სპეციალისტია მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელებად. თუმცა, დებულების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს აკადემიური პერსონალი, ხოლო მოწვეული სპეციალისტები ინიშნებიან მხოლოდ თანახელმძღვანელებად, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფ აკადემიურ პერსონალთან ერთად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით გამოცდილების მქონე პერსონალი ⁵	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁶	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	15	0	0	13
- პროფესორი	11	0	0	9
- ასოცირებული პროფესორი	4	0	0	4
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	19	7	0	–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- პერსონალის პირადი საქმეები;

⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁶ შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს

- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინფორმაცია პუბლიკაციების შესახებ რეფერირებად, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში;
- შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები იყოს სრული, შეუსაბამოების გარეშე.
- რეკომენდებულია, რომ უსდ-ის მიერ კონკრეტულ კურსზე დანიშნული პირი და სილაბუსში მითითებული პირი ერთმანეთს შეესაბამებოდეს.
- რეკომენდებულია, პროგრამის მდგრადობისთვის, პროგრამის კონკრეტულ დარგში კონკურენტუნარიანი აკადემიური თანამდებობების გამოცხადება.
- რეკომენდებულია, რომ ძირითადი, პროფილურ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ კურსებზე მოწვეული სპეციალისტები რეგულარულად ეწეოდნენ სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობას და ისწრაფვოდნენ უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ.
- რეკომენდებულია, რომ თეორიული კურსების წამყვანმა კურატორებმა გამოავლინონ მაღალი სამეცნიერო აქტივობა, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია (ქორეოლოგი) და კონკრეტულ დარგებში სწავლების მნიშვნელოვანი გამოცდილება.
- რეკომენდებულია, რომ ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების პროგრამის სწავლებაში ჩართული ინსტრუქტორები, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი, აქტიურად მონაწილეობდეს არა მხოლოდ აკადემიურ და მეთოდოლოგიურ, არამედ სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობაშიც.
- რეკომენდებულია, წარმოდგენილ პროგრამას ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირი პროგრამის ხელმძღვანელ პოზიციაზე, ხოლო მოწვეული პერსონალი - თანახელმძღვანელად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, სამეცნიერო საქმიანობის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავდეს CV-ის პროექტი (ფორმა) ხელოვნების სფეროს პერსონალისთვის, რომელშიც მითითებული იქნება, ბოლო 10 წლის განმავლობაში, მათი შემოქმედებითი საქმიანობა (პროექტები), რაც მკაფიოდ იქნება გამოყოფილი სხვა პროფესიული (არასასწავლო) გამოცდილებისგან.

სასურველია ძირითადი, პროფილური მეთოდოლოგიური და პრაქტიკული კურსების მოწვეულმა სპეციალისტებმა მეტად მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენციებში, გამოაქვეყნონ სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად (რეფერირებად ან სამეცნიერო) ჟურნალებში და დაწერონ ფუნდამენტური ნაშრომები ამ სფეროში.

სასურველია, უსდ-მ დამატებით ჩართოს მაღალკვალიფიციური (PhD) ქორეოგრაფები, ან მაგისტრატურის კვალიფიკაციის მქონე ქორეოლოგები, რომლებიც არ არიან აფილირებული სხვა უნივერსიტეტებთან, რათა ასწავლონ თეორიული პროფილის კურსები. ამ პირებს უნდა ჰქონდეთ უფრო მაღალი დონის სამეცნიერო ან/და პედაგოგიური საქმიანობა კონკრეტულ სასწავლო სფეროში.

სასურველია, უსდ-მ პრაქტიკულ კურსებზე დამატებით მოიწვიოს საპატიო წოდების მქონე პროფესიონალები შესაბამისი სახელმწიფო ან პროფესიული სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც ავლენენ შემოქმედებითი მუშაობის მაღალ დონეს.

სასურველია რომ ავტობიოგრაფიული-პროფესიული რეზიუმე (CV) არ მოიცავდეს პირის საიდენტიფიკაციო ნომერს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.1. ადამიანური რესურსი	☐	☐	X	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			—
სამეცნიერო პერსონალი			—

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს უსდ-მ იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა	☐	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უსდ რეგულარულად აფასებს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს და აანალიზებს შედეგებს. უნივერსიტეტში პერსონალის შეფასებას ატარებს როგორც ადმინისტრაცია, ასევე სტუდენტები. შეფასების კომიტეტი პასუხისმგებელია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, კომიტეტის წევრები უფლებამოსილნი არიან შეაფასონ თანამშრომლები წინასწარ დადგენილი შეფასების მეთოდის გამოყენებით და გააცნონ უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასების პროცესი მოიცავს სტუდენტთა გამოკითხვებს, რომლებიც აფასებენ პედაგოგებს სხვადასხვა კრიტერიუმებით გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში. ამ შეფასებების შედეგები განიხილება კომიტეტის სხდომებზე.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმების, სასწავლო პროგრამების, დაწინაურების/დაქვეითების გადაწყვეტილებების, ხელფასების კორექტირების, სამოტივაციო ინიციატივებისა და პერსონალის სხვა საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

როგორც თვითშეფასების ანგარიშის, დამხმარე დოკუმენტაციის შესწავლამ და ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, საქართველოს უნივერსიტეტი, პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასთან ერთად, მოწოდებულია განავითაროს თავისი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. ამის მისაღწევად, უნივერსიტეტმა დააარსა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობს კვლევითი საქმიანობის კოორდინაციას, პერსონალის განვითარებას და სამეცნიერო პროექტების მართვას.

ძირითადი ინიციატივები მოიცავს შემდეგს: 1) გამოცემის წახალისება: აკადემიური პერსონალი იღებს პრემიებს რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის, ხოლო ინსტიტუტი აფინანსებს მათ მონაწილეობას კონფერენციებსა და სამეცნიერო მივლინებებში; 2) „სამეცნიერო ოთხშაბათები“: ეს ინიციატივა გამოცდილ მეცნიერებს საშუალებას აძლევს წარმოადგინონ თავიანთი ბოლო პუბლიკაციები, რაც ხელს უწყობს დისკუსიას მიმდინარე კვლევით პროექტებსა და მეთოდოლოგიებზე; 3) კონფერენციების ფინანსური მხარდაჭერა: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი სრულად ანაზღაურებს აკადემიური პერსონალის ხარჯებს, რომლებიც უნივერსიტეტის სახელით ესწრებიან

მნიშვნელოვან სამეცნიერო კონფერენციებს; 4) უწყვეტი განათლება: უნივერსიტეტის პერსონალი რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, ვორქშოფებსა და ფოლკლორისტულ ექსპედიციებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად; 5) თანამედროვე კომპეტენციები აკადემიურ სწავლებაში (MOCAT): უნივერსიტეტი მონაწილეობს ამ პროექტში, რომელიც სწავლების მეთოდოლოგიების გაუმჯობესების მიზნით ხელს უწყობს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას. აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია 10-ზე მეტი ონლაინ კურსი, რომლებიც მოიცავს სწავლების სხვადასხვა ტექნიკას; 6) ხელოვნური ინტელექტის ტრენინგი: 2023 წლიდან ტარდება სავალდებულო AI ტრენინგი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც მორგებულია მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე და შექმნილია 2025 წლისთვის ამ სფეროში ყოვლისმომცველი კომპეტენციის უზრუნველსაყოფად; 7) საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი: ეს ცენტრი ატარებს ტრენინგს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებზე, რაც ხელს უწყობს მასწავლებელზე ორიენტირებულიდან სტუდენტზე ორიენტირებულ პრაქტიკაზე გადასვლას.

საერთო ჯამში, საქართველოს უნივერსიტეტი მისი აკადემიური პერსონალის უნარებისა და კომპეტენციების გასაუმჯობესებლად სთავაზობს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, რითაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ პროფესიულ ზრდას და სტუდენტებისთვის მიწოდებული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ერთადერთი გამოწვევა, რომელიც შეიძლება მოსალოდნელი იყოს ახლად შექმნილი პროგრამისათვის, არის ახალი კადრების ჩართვა სხვადასხვა აკადემიურ აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს უსდ-მ იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროფესიული განვითარების აქტივობებში ახალი კადრების აქტიური მონაწილეობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი კარგად ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურით ქმნის ხელსაყრელ გარემოს თეორიული კურსების შესასწავლად. ლექციები და სემინარები ჩატარდება კომფორტულ, ტექნიკურად აღჭურვილ აუდიტორიებში. დაგეგმილია, რომ ყველა პრაქტიკული მეცადინეობა ჩატარდება დაქირავებულ შენობაში, სადაც განთავსებულია 120 მ² ფართის ქორეოგრაფიული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია ხმის გამამდიერებლებით და მუსიკალური ცენტრით. დარბაზი მოიცავს ფანჯრებს, ვენტილაციას, გასახდელებს, ტუალეტებსა და საშხაპეებს. ეს ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ჯგუფური პრაქტიკული გაკვეთილებისთვის აუცილებელ მინიმალურ პირობებს.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ სტუდენტს მოუწევს მოამზადოს საკუთარი შემოქმედებითი პროექტი, აუცილებელია სივრცეები ინდივიდუალური პრაქტიკისათვის ან მცირე ჯგუფის სესიებისათვის. ეს საკითხი, სავარაუდოდ, გაუარესდება, რადგან სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. პროგრამის ფინანსური გეგმის მიხედვით, ყოველწლიურად ჩაირიცხება 30 სტუდენტი; თუმცა, შეხვედრებზე პროგრამის განმახორციელებლებმა აღიარეს, რომ ეს რაოდენობა არარეალისტურია და მიზნად აქვთ შემცირება.

ამასთან, ქორეოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლების 5.1 მუხლის მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია დაიცვას ქორეოგრაფიის გაკვეთილებისათვის შესაბამისი უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები. სამწუხაროდ, ასეთი ნორმები და წესები არც შემუშავებულა და არც ექსპერტებისთვის განსახილველად ყოფილა წარდგენილი. ეს ხარვეზი პროგრამის განმახორციელებელ გუნდთან ინტერვიუს დროს დადასტურდა.

საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია უნივერსიტეტის მთავარ შენობაში. მასში ხელმისაწვდომი იქნება პროგრამით განსაზღვრული საკითხავი მასალები. სილაბუსებში ასახული ყველა საჭირო ლიტერატურა უკვე ხელმისაწვდომია ელექტრონულ კატალოგში ან შეკვეთით. გარდა ამისა, სტუდენტებს ექნებათ წვდომა, თუმცა შეზღუდული, უნივერსიტეტში არსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, როგორიცაა JSTOR, Hinari, Ebsco, Cochrane Library, Scopus, ScienceDirect და HEINONLINE. მიუხედავად ამისა, არცერთი პროგრამასთან დაკავშირებული ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი ღია ფონდში და არ არსებობს აუდიოვიზუალური რესურსები (როგორიცაა ცეკვების, სპექტაკლების, ინტერვიუების ჩანაწერები, სწავლების დემონსტრაციები და ა.შ.), რაც შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის მნიშვნელოვან ნაკლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის დოკუმენტაცია თანდართული მასალებით;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები ქორეოგრაფიაში;
- ბიბლიოთეკისა და მონაცემთა ბაზის შემოწმება;
- პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოჩნულ ობიექტებში ვიზიტი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უფრო შესაფერისი პირობების შექმნა პრაქტიკული მეცადინეობისთვის, განსაკუთრებით სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისთვის.
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც ასახავს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტებს/წესებს ქორეოგრაფიის

გაკვეთილებზე ჩართული პირებისთვის. ეს ნორმატიული დოკუმენტი უნდა დაერთოს პროგრამას, გამოქვეყნდეს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იყოს ყველა ჩართული პერსონალისა და სტუდენტისთვის.

○ რეკომენდებულია, ქორეოგრაფიის სწავლების შესაბამისი აუდიოვიზუალური რესურსების საჯაროდ ხელმისაწვდომი არქივის შექმნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ სასურველია ბიბლიოთეკაში ღია თაროების შექმნა, პროგრამასთან დაკავშირებული ლიტერატურისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.4 მატერიალური რესურსი	☐	☐	X	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი აჩვენებს კარგად სტრუქტურირებულ და ყოვლისმომცველ ფინანსური დაგეგმვის პროცესს, რომელიც შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის დაგეგმვის საწყისი ეტაპები ბიუჯეტირების პროცესს მოიცავდა; რესურსების პროგრამის აკადემიურ და საოპერაციო საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.. პროგრამის ხელმძღვანელები, ფინანსური მენეჯერები და ცენტრალური ადმინისტრაცია თანამშრომლობდნენ ფინანსური გეგმის შესადგენად, რომელიც

უზრუნველყოფს საჭირო ინფრასტრუქტურას, სასწავლო მასალასა და აკადემიური პერსონალის ანაზღაურებას პროგრამის განხორციელებისა და მისი სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

ფინანსური გეგმა მოიცავს პროგრამის სრულ სასწავლო ციკლს და პრიორიტეტებს ანიჭებს საოპერაციო საჭიროებებს პროგნოზირებული შემოსავლის 90%-ის გამოყოფით - ძირითადად სწავლის საფასურიდან - უშუალოდ პროგრამის სპეციფიკურ ხარჯებზე. სწავლის საფასური განისაზღვრება 4500 ლარით თითო სტუდენტზე წელიწადში. პირველ წელს მოსალოდნელია 22 სტუდენტის ჩარიცხვა, რითაც პროგნოზირებული მთლიანი შემოსავალი შეადგენს 99 000 ლარს. შემოსავლის დარჩენილი 10% გამოიყოფა ადმინისტრაციულ და ინსტიტუციურ ხარჯებზე, როგორცაა გადასახადები და საოფისე ხარჯები. ეს განაწილება ხაზს უსვამს პროგრამის ერთგულებას ინვესტირებისადმი თავის ძირითად საქმიანობაში, ფინანსური ანგარიშვალდებულების შენარჩუნებით.

პროგრამის ბიუჯეტის მთავარი ძლიერი მხარეა ფინანსური რისკების შესუსტების უნარი. იმ შემთხვევებში, როდესაც პროგრამის შემოსავალი მცირდება, დამატებითი მხარდაჭერა გარანტირებულია სკოლისა და ცენტრალური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ეს მრავალფენიანი ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას ჩარიცხვის რყევების ან გაუთვალისწინებელი გამოწვევების პირობებშიც კი, რაც ხაზს უსვამს დაწესებულების მიერ ამ სფეროს, როგორც სტრატეგიული ფოკუსის სფეროს პრიორიტიზირებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს კარგად ჩამოყალიბებული საერთაშორისო პარტნიორობა, მათ შორის ERASMUS+ ქსელის წევრობა და სხვა საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, რაც უზრუნველყოფს დამატებით მხარდაჭერას ბიუჯეტისთვის და კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის ფინანსურ საფუძველს.

ბიუჯეტის დაგეგმვა ასევე ასახავს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, არსებითი ხარჯების მკაფიო მუხლებით, როგორცაა საკლასო ოთახის დაქირავების საფასური და საოპერაციო ხარჯები, რომლებიც კავშირშია აკადემიურ სემესტრთან. უფრო მეტიც, ვაკანტურ ადგილებზე 10%-იანი ბუფერის გათვალისწინება გვიჩვენებს შემოსავლების პროგნოზირებისადმი რეალისტურ მიდგომას, ფინანსური მოლოდინების თანხედრას ჩარიცხვის რეალურ შაბლონებთან.

დასასრულს, პროგრამის ბიუჯეტი კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას, ძლიერი ინსტიტუციური მხარდაჭერით და მკაფიო აქცენტით ოპერაციულ პრიორიტეტებზე. რისკების შემცირების სტრატეგიის ინტეგრირებით და ფინანსური გამჭვირვალობის შენარჩუნებით, უნივერსიტეტმა შექმნა მყარი ჩარჩო პროგრამის განხორციელების მხარდასაჭერად. პროგრამის ფინანსური მდგრადობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, უნივერსიტეტს შეუძლია განიხილოს შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია და რეგულარული მიმოხილვების ჩატარება, რათა მოერგოს განვითარებად საჭიროებებსა და ბაზრის პირობებს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის მოქნილობას და მის გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს უსდ-მ იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.5. პროგრამის/ფაკულტეტი ს/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტმა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დანერგა სტრუქტურირებული მიდგომა ხარისხის უზრუნველყოფისადმი. ამ სისტემისთვის ცენტრალურია პროგრამის პერსონალსა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის (QA) სამსახურს შორის თანამშრომლობა. ეს პარტნიორობა მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შექმნას და შედეგების ანალიზს, პროგრამების თანმიმდევრული მონიტორინგისა და დახვეწის უზრუნველყოფას.

პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის განვითარებასთან და ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში. იგი მიმართავს "დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპს, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამის მენეჯმენტის ყველა ეტაპი ხელს უწყობდეს გაუმჯობესებას. თვითშეფასების პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაციული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ შეფასებას და პროგრამის გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტმა შემოიღო ელექტრონული შეფასების მოდელი ახლად დანერგილი ONLINE UG პორტალის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ეს პლატფორმა ჯერ არ ფარავს ყველა პროგრამას, ის იძლევა პერსპექტიულ ჩარჩოს სწავლის შედეგების უშუალოდ გასაზომად როგორც კურსის, ასევე პროგრამის დონეზე. შედეგების დაკავშირებით კონკრეტულ შეფასების ინსტრუმენტებთან, როგორიცაა კვიზები, გამოცდები, პროექტები და ნაშრომები, ეს სისტემა უზრუნველყოფს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ზუსტ და ეფექტიან შეფასებას. ამ ციფრული პლატფორმის ინიცირება შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად და იმსახურებს შემდგომ მხარდაჭერას ყველა პროგრამაში სრული განხორციელების მისაღწევად.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, მათ შორის დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, ავსებს პირდაპირ შეფასებებს. ესენი უზრუნველყოფენ დაინტერესებული მხარეების აღქმას და ხელს უწყობენ პროგრამის ეფექტურობის გაგებას. არაპირდაპირი შეფასებების სიხშირის გაზრდამ, რომელიც ამჟამად ტარდება სამ წელიწადში ერთხელ, შეიძლება უზრუნველყოს უფრო დროული გამოხმაურება და უფრო სწრაფი რეაგირება ტენდენციებსა და საჭიროებებზე.

პროგრამის ცვლილებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ გამოხმაურება მიეწოდება სტუდენტებს და პერსონალს ელექტრონული შეტყობინებების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა ფუნქციონირებს, პერსონალიზებული გამოხმაურების სესიების ან ვორქშოპების ჩართვამ შეიძლება გააუმჯობესოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და გაგება.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ დაინტერესებული მხარეები, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალი, ოფიციალურად მონაწილეობს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპსა და პროცედურაში. თუმცა, ისინი არ არიან ინფორმირებულნი ყოვლისმომცველ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მათი როლის მნიშვნელობისა და უშუალო პასუხისმგებლობის თაობაზე. დაინტერესებულ მხარეებს უფრო მეტად ჩართული და პრაქტიკული აქტივობებით უზრუნველყოფამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ხარისხის კულტურა უნივერსიტეტში. მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მიზნობრივი ტრენინგები და პრაქტიკული სემინარების ორგანიზება დაინტერესებული მხარეებისათვის, რათა გააუმჯობესონ მათი გაგება და ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. რეგულარული ფორუმებისა თუ სადისკუსიო პანელების შემოღებამ ასევე შეიძლება შექმნას პლატფორმა მიმდინარე დიალოგისა და გაზიარებული პასუხისმგებლობისათვის. გარდა ამისა, წამახალისებელი მექანიზმების დანერგვამ ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებში აქტიური მონაწილეობის ამოცნობისა და დაჯილდოების მიზნით, შეიძლება კიდევ უფრო მოტივირებული გახადოს დაინტერესებული მხარეები და გააძლიეროს ხარისხის კულტურა.

თვითშეფასების ანგარიშები და შემდგომი ქმედებები მიუთითებს პროგრამის პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივ ძალისხმევაზე შეფასებების დროს გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად. ეს პროცესი უზრუნველყოფს პრობლემების დროულ მოგვარებას და პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებას.

დასკვნის სახით, საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო მისი სისტემატური პროცესების, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და ეფექტური შეფასების ინსტრუმენტების მეშვეობით, აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. მცირე სფეროები გასაუმჯობესებლად მოიცავს დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას და ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და ONLINE UG პორტალის სრულ დანერგვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- უნივერსიტეტის ონლაინ პლატფორმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს უსდ-მ იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა და ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მიზანმიმართული ინიციატივების მეშვეობით და უზრუნველყოს დამატებითი მხარდაჭერა ONLINE UG პორტალის ყველა პროგრამაში სრული განხორციელების უზრუნველსაყოფად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ინკორპორირებული აქვს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულება, მის პროგრამებში ინფორმირებული გაუმჯობესებების განსახორციელებლად აქტიურად იყენებს გარე შეფასებების შედეგებს, მათ შორის რეკომენდაციებს ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებიდან.

უნივერსიტეტის ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში მიღებულ რეკომენდაციებს ზედმიწევნით განიხილავს პროგრამის განვითარების საბჭოს (პგს) და ითვალისწინებს ცვლილებების ან სტრატეგიული კორექტირების განხორციელებისას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, თანაც აკმაყოფილებს დაინტერესებული მხარეების მზარდ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს უსდ-მ იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
------------	------------------------------	---------------------------------------	---	---------------------------

5.2. ხარისხის შეფასება	გარე	X	☐	☐	☐
------------------------------	------	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის პერიოდული მონიტორინგი და შეფასება ტარდება სისტემატურად, მთელი რიგი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. ამ პროცესებიდან შეგროვებული მონაცემები ანალიზდება და გამოიყენება გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, პროგრამის შესაბამისობისა და შრომის ბაზრისათვის კურსდამთავრებულთა მზადყოფნის შესახებ გამოხმაურების შესაგროვებლად, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები ტარდება რეგულარულად. ეს გამოკითხვები განსაკუთრებით ღირებულია პროგრამის შედეგების შესაბამისობაში მოსაყვანად ინდუსტრიის მოლოდინებთან.

პროგრამის შედარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან წარმოადგენს პერიოდული შეფასების პროცესის კიდევ ერთი ძირითად კომპონენტს. აკრედიტაციისათვის მზადების დროს უნივერსიტეტი ადარებს თავის პროგრამებს სხვა დაწესებულებების მსგავს შეთავაზებებს პროგრამის სტრუქტურის, შედეგებისა და სწავლების მეთოდოლოგიების ანალიზით, საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფითა და გაუმჯობესების პოტენციური სფეროების იდენტიფიცირების მიზნით. ასეთი აქტივობები ხელს უწყობს პროგრამის კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის შენარჩუნებას. თუმცა, ამ კონკრეტული პროგრამისთვის, სამიზნე ნიშნულების ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს, ხოლო შედარება ჩატარდა არაფორმალურად, სფეროს ზოგიერთ პროფესიონალთან და არაპირდაპირ წყაროებთან. ეს შედარებები არ იყო სისტემატური ან დოკუმენტირებული, რაც ნაკლებ გავლენას ახდენს პროგრამის

გაუმჯობესებაზე.

მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა მოახდინოს ამ პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან დადარება, სხვა დაწესებულებების მსგავს შეთავაზებებთან მისი შედეგების მკაფიო ჩარჩოს ჩამოყალიბებით. ეს შეიძლება მოიცავდეს სამიზნე ნიშნულების ფორმირებას, კონკრეტული შესაძარებელი პროგრამების იდენტიფიცირებას და დასკვნების სისტემატურ ანალიზს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გამოსავლენად. გარდა ამისა, ამ შედეგების დეტალური დოკუმენტირება და შედეგების ინტეგრირება პროგრამის განვითარების საბჭოს განხილვის პროცესში, უზრუნველყოფდა პროგრამის მოდერნიზაციასა და გაუმჯობესებას

მონიტორინგის პროცესი ასევე აფასებს პროგრამის ეფექტურობას კომპლექსური ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც მიღებულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების შედეგებიდან. ეს ყოვლისმომცველი შეფასება იძლევა პროგრამის ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. მაგალითად, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მონაცემები ანალიზდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შედეგების შესაბამისობა ინდუსტრიის მოლოდინებთან და კურსდამთავრებულების შრომის ბაზრისათვის საჭირო უნარებით აღჭურვა. ამ შეფასებებიდან გამომხაურება იყო მნიშვნელოვანი მოდერნიზაციისა და ადაპტაციის სფეროების იდენტიფიცირებისათვის.

უნივერსიტეტი იყენებს თავის ელექტრონულ შეფასების მოდელს და პლატფორმებს, როგორიცაა ONLINE UG პორტალი, რათა გაზარდოს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ეფექტიანობა. ეს ინსტრუმენტები იძლევიან დეტალურ ინფორმაციას სტუდენტის მოსწრების, კურსის შედეგებისა და დაინტერესებულ მხარეთა გამოხმაურების თაობაზე, რაც მნიშვნელოვანია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისათვის. გარდა ამისა, სტუდენტებისა და ლექტორების მიერ სემესტრულ შეფასებებს კიდევ უფრო მეტი წვლილი შეაქვს პერიოდული განხილვის პროცესში, პროგრამის შესრულების შესახებ რეალურ დროში მონაცემების მიწოდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს უსდ-მ იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფი/მსოფლიო ხალხური ცეკვის ქორეოგრაფი, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☐	X	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	X	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	☐	X	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სრული სახელი, ხელმოწერა

რამუნე ბალევიჩიუტე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სრული სახელი, ხელმოწერა

ეკატერინე გელიაშვილი

სრული სახელი, ხელმოწერა

თამთა ლეკიშვილი

სრული სახელი, ხელმოწერა

ლიკა კვინჩია

დანართი 1

ექსპერტთა კომენტარი დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

(გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ექსპერტებმა უპასუხეს უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის მხოლოდ იმ პუნქტებს, რომლებიც მიიჩნიეს დასაბუთებულად და საჭიროებდა დამატებით ახსნა-განმარტებას. შესაბამისად, ექსპერტებმა არ უპასუხეს პოზიციას, სადაც დაწესებულებამ მხოლოდ თავისი აზრი გამოთქვა.)

მოგახსენებთ, რომ მივიღეთ დასკვნის პროექტი, რომლის გაანალიზების შედეგად გამოვკვეთეთ ის რეკომენდაციები, რომელშიც ვეთანხმებით ექსპერტებს და მოგახსენებთ თუ რა ნაბიჯები გადადგა საქართველოს უნივერსიტეტმა ან მომავალში გეგმავს გადადგას, რათა რეკომენდაციით განსაზღვრული საკითხი აღმოიფხვრას. რა თქმა უნდა, მოგახსენებთ, ასევე იმ რეკომენდაციების შესახებ რომლებსაც არ ვეთანხმებით და ამისთვის წარმოგიდგენთ ჩვენს არგუმენტაციებს. უნდა აღინიშნოს, ჩვენი გაკვირვების შესახებაც, რომელიც გამოიწვია ორმა ფაქტორმა: პირველი - რატომ მოხდა ისე, რომ დასკვნის პროექტში რეკომენდაციების სახით არის წარმოდგენილი ისეთი შინაარსი, რომელიც მოუწოდებს ინსტიტუციას, პროგრამის გარშემო შეიმუშავოს გარკვეული ნაბიჯები, პროცედურები თუ მექანიზმები, იმ დროს როცა ინსტიტუციას ეს უკვე აქვს, რაც დასტურდება დოკუმენტებით, რომელიც ჯერ კიდევ აკრედიტაციის განაცხადის დროს იყო წარმოდგენილი და მეორე - ზოგიერთი რეკომენდაციები გაუგებარია რატომ არის ჩამოყალიბებული რეკომენდაციის სახით და არა რჩევით ან უფრო მეტი, ზოგიერთი რჩევის კატეგორიაშიც არ თავსდება, არც აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით თუ უმაღლესი განათლების შესახებ რეგულაციების მიხედვით. შეგახსენებთ, რომ აკრედიტაცია არის იურიდიული წარმოება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სტანდარტის და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

იმედი გვაქვს, რომ ზემოთ არსებული გაუგებრობები, ჩვენი პასუხის კარგად შესწავლის შემდეგ აღოიფხვრება.

1.1. პროგრამის მიზნების დადგენისას რეკომენდებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება.

რეკომენდებულია ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტექსტის ცოდნის წარმოჩენა, რათა პროგრამის მიზნები კონკრეტულად ჩამოყალიბდეს და პროგრამის უნიკალურობა ხაზგასმული იყოს.

1.3 რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს ბაზრის კვლევის პროცესი კვლევის ინსტრუმენტების სივრცისა და სპეციფიკის გაუმჯობესებით, მონაცემთა ხარისხობრივი შეგროვების მეთოდების დახვეწით და შედეგების სისტემატური ანალიზით, ეფექტური ინტეგრირებით პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში.

პასუხი:

ვთვლით რომ ეს რეკომენდაციები ატარებს ერთი და იგივე შინაარსს და გადავწყვიტეთ, რომ გავაერთიანოთ და ერთად გიპასუხოთ. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, ჩვენს მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის მონაცემები ამ ეტაპზე შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. მოგეხსენებათ, რომ ამ მოკლე დროში ახალი კვლევის განხორციელება შეუძლებელია, ხოლო სამომავლოდ გავაფართოვებთ მონაცემებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარი ლოკალურია, ქვეყანა მცირერიცხოვანი და ჩატარებული კვლევის მასშტაბები და ინფორმაციულობა ნათლად ასახავს საბაკალავრო პროგრამების საჭიროებისა და აუცილებლობის მნიშვნელობას.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს კავშირს სასწავლო პროცესით მიღებულ ცოდნასა და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს შორის.

ვიზიტის პერიოდში როცა დაისვა კითხვები პროგრამის შემუშავებისა და შედეგების ფორმირების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამის დებულების მიხედვით ზემოთ ხსენებული პროცესები გაწერილია და სრულად სტრუქტურირებული, ამის მიუხედავად დამატებითი განმარტებები გავაკეთეთ და ჩვენ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ არსებულ კითხვაზე პასუხი დამაკმაყოფილებელი იყო ექსპერტებისთვის. იქედან გამომდინარე, რომ რეკომენდაცია კვლავ არსებობს, მოგახსენებთ, რომ არსებული პროგრამა შეიქმნა უნივერსიტეტის შიდა მექანიზმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და მოთხოვნების შესაბამისად. უპირველეს ყოვლისა აღსაღნიშნავია ჯგუფი, რომელიც ქმნის პროგრამას. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ასეთ ჯგუფს ეწოდება პროგრამის განვითარების საბჭო (შემდგომში - პგს). პგს პროგრამებისთვის ინდივიდუალურად იქმნება და მისი წევრები არიან პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტი (პოტენციური სტუდენტი), დამსაქმებელი. პგს-ს წევრები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის დებულებისა და აკრედიტაციის გარშემო არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მუშაობს პროგრამის შემუშავებაზე. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის შედგენის დროს, შეფასებული იყო ასევე დარგობრივი მახასიათებელი, უფრო სწორად ძირითად დოკუმენტად სწავლის შედეგების ფორმირების ნაწილში სწორედ ის იყო მოაზრებული, რადგან სხვა თუ არაფერი ამას ითხოვს

რეგულაცია, შესაბამისად, კომპეტენციების ფუნდამენტი წარმოდგენილია დარგობრივის მოთხოვნების შესაბამისად. პგს-მ რაც გააკეთა არის ის, რომ მან გამოკვეთა პროგრამის ის მნიშვნელოვანი კომპონენტები თუ რა არის უშუალოდ პროგრამის მიზანი და პროგრამის მიზანია: „სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს ქართული ტრადიციული და მსოფლიო ხალხთა ცეკვების ეროვნული საცეკვაო კულტურა“. მოცემული წინადადებიდან, ნათლად ჩანს, რომ პროგრამის მიზანია ქართული ტრადიციული და მსოფლიო ხალხთა ცეკვების შესწავლა. იმ დროს როცა ექსპერტები ამბობენ, რომ უნდა მოხდეს სწავლის შედეგებისა და მიზანს შორის კავშირის დადგენა, გაუგებარია რაში არ ჩანს კავშირი, გარდა იმისა, რომ მითითებაა კავშირის არსებობის შესახებ, არსად არ არის ახსნილი რაში არ იკვეთება ეს კავშირი, იმ დროს როცა, პროგრამის სტრუქტურა და მასში არსებული საგნები პირდაპირ გამოსახავს მიზნის იმ სულისკვეთებას, რაც ზემოთ არის აღნიშნული. სტრუქტურის მიხედვით პროგრამა არის წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი, არჩევითი, ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - მოდულისა და მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - მოდულებისაგან. სტუდენტი პროგრამის ძირითად ბლოკში სწავლობს ქორეოგრაფიას, ქართულ ტრადიციულ ცეკვას და მსოფლიო ხალხთა ცეკვას, სადაც სტუდენტები იძენენ ფართო კომპეტენციებს, რაც შემდგომში აძლევს საშუალებას გააკეთონ არჩევანი, რომელი მიმართულებით უნდათ უფრო მეტად დახელოვნება - ქართული ტრადიციული ცეკვის თუ მსოფლიო ხალხთა ცეკვის მიმართულებით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 1.2. ქვესტანდარტის აღწერაში ექსპერტები წერენ, რომ: თუმცა, ეს სწავლის შედეგები წარმოდგენილია ფრაგმენტულად და არ აქვს ნათელი სტრუქტურა. ისინი არ შეესაბამება ხელოვნების სფეროსთვის დამახასიათებელ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციების ჩარჩოს, ასევე არ იდენტიფიცირებს ცოდნას, უნარებს, ავტონომიასა და პასუხისმგებლობას, რომელიც უნდა განვითარდეს პროგრამის კურსდამთავრებულებში. გულწრფელად ვერ გავიგეთ რატომ ჩამოყალიბდა ეს ტექსტი ამგვარად, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწავლის შედეგების ფუნდამენტი არის დარგობრივი დოკუმენტი, დარგობრივი განსაზღვრავს ცოდნის, უნარისა და ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობის ნაწილში, როგორ და რა სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო სწავლის შედეგები. პროგრამაში აისახა დარგობრივის მოთხოვნები და მაშინ გაუგებარია რა არის ფრაგმენტული ან რა არ შეესაბამება ხელოვნების სფეროსთვის დამახასიათებელ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციების ჩარჩოს?

ექსპერტთა პასუხი: წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტთათვის უკვე ცნობილია პროგრამის განვითარების საბჭოსა და მისი ფუნქციის შესახებ. ასევე იმის შესახებაც, რომ აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში, ბუნებრივია, რომ პგს დაეყრდნო დარგობრივ მახასიათებელს. განვმარტავთ, რეკომენდაცია ეხება მხოლოდ მკაფიოდ, ნათლად ჩამოყალიბებულ შედეგებს და მის კავშირს მიზნებთან. უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი აქვს ერთი მთავარი მიზანი, რომელიც ჩაშლილია სხვა ქვემიზნებად.

მნიშვნელოვანია ჩანდეს, რომელი შედეგი რომელ მიზანს ფარავს, რაც საბოლოოდ ახდენს ერთი ძირითადი მიზნის გადაფარვას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შექმნილი აქვს დოკუმენტი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო“, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე. აქ ნათლად არის განსაზღვრული - გვ.4. „პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე“. სასურველი იყო მსგავსი სქემის ჩამოყალიბება, ან რაიმე სხვა ფორმით, რათა უფრო ნათლად გამოჩენილიყო თითოეული შედეგის კავშირი თითოეულ მიზანთან. ამასთან, პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულის შეფასებისას საშუალებას მისცემს უსდ-ს აჩვენოს, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას სტუდენტებმა მიაღწიეს თუ არა პროგრამის სწავლის შედეგებს სრულად. ეს უკანასკნელი კი, იმის მაჩვენებელი იქნება, რომ პროგრამის მიზნები მიღწეულია.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მოკლედ და სტრუქტურულად.

როგორც უკვე მოგახსენეთ, საქართველოს უნივერსიტეტი პროგრამის შემუშავების დროს ეყრდნობა საქართველოს უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებს და აკრედიტაციის გარშემო არსებულ ნორმატიულ აქტებს. შესაბამისად, არ არსებობს არცერთი სტანდარტი, რომელიც ავალდებულებს უნივერსიტეტს სწავლის შედეგების მოკლედ ჩამოყალიბებას თუ პირიქით. პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა დამოკიდებულია პროგრამის სპეციფიკაზე, სირთულეზე, უნივერსიტეტის და პროგრამის განმახორციელებელი პირების ხედვებზე და ა.შ. იქედან გამომდინარე, რომ პროგრამის შედგენა მოიცავს ძალიან კომპლექსურ და ამავედროულად ინდივიდუალურ საკითხებს, სწორედ ამის გამო არ არსებობს სამართლებრივი შეზღუდვა. რაც შეეხება სწავლის შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბების საკითხს, მოგახსენებთ, რომ ის იმეორებს დარგობრივის სტრუქტურას და მიგვაჩნია, რომ ამ ნაწილშიც სრულად დაცულია სტანდარტის მოთხოვნები.

ექსპერტთა პასუხი: როგორც წინა კომენტარში აღინიშნა, ექსპერტები, სხვა დებულებებთან ერთად, ხელმძღვანელობენ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოთი“, სადაც ნათქვამია, რომ (გვ.4) „პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან ბევრი. ოქროს წესად მიიჩნევა ათამდე სწავლის შედეგის ჩამოყალიბება“. რაც შეეხება დარგობრივ დოკუმენტს, ის მოიცავს 13 შედეგს.

ასევე დავაზუსტებთ, რომ თვითშეფასების ანგარიშით გაუგებარია საერთოდ რამდენი შედეგია. თუმცა, ექსპერტებისგან მხოლოდ პუნქტობრივ რაოდენობაზე არ არის რეკომენდაცია. სამივე დოკუმენტში (თვითშეფასება, პროგრამა, კურიკულუმის რუკა) განსხვავებულადაა წარმოდგენილი შედეგების რაოდენობა და იმდენად ბევრია და ჩაშლილი დამატებით პუნქტებად, რომ კარგავს სიცხადეს. მარტივად არის შესაძლებელი მათი გამსხვილება და ოპტიმალურ რაოდენობამდე დაყვანა.

ვერ დაგეთანხმებით ვერც იმაში, რომ ის სტრუქტურულად იმეორებს დარგობრივს.

პროგრამის შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით, კარგი იქნება დარგობრივთან ერთად, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებაც და პროფესიულად მსგავსი პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა.

1.2 სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს ყველა არსებით შედეგს, მათ შორის უნივერსიტეტის სავალდებულო კურსების შედეგს.

პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია პროგრამის სავალდებულო საგნების მიხედვით. მათ შორის გათვალისწინებულია სავალდებულო არჩევითი ბლოკების ლოგიკაც. უპირველს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გავამახვილოთ ყურადღება პროგრამის სავალდებულო კომპონენტებზე, კერძოდ, პროგრამის ძირითადი საგნების ძირითადი შედეგები შეჯერდა და გამსხვილებული ვარიანტით მოდიფიცირდა შედეგები. ამას აქვს ორი ახსნა: პირველი - სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა დარგობრივის მიხედვით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფუნდამენტი პროგრამის სწავლის შედეგებისა არის დარგობრივი. რაც შეეხება მეორე ნაწილს, - შედეგების გამსხვილება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რადგან, პროგრამა არის აგებული სპირალიზებული პრინციპით. პროგრამის სავალდებულო კომპონენტები არის ერთმანეთთან დაკავშირებული და მარტივიდან რთულისკენ ისევ სპირალიზებული პრინციპის დაცვით ხდება კომპეტენციების დაკავშირება, მაგალითად როცა სტუდენტმა უნდა შეისწავლოს თუ როგორ უნდა დადგას საცეკვაო ნომერი, ის სწავლობს როგორც ცეკვის ქორეოგრაფიულ საკითხებს, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ დამატებით კომპეტენციებს. ასეა კურიკულუმში მოცემული კურსები, როგორც უკვე აღვნიშნე „მარტივიდან რთული“ პრინციპის დაცვით. პირველ სემესტრში როცა სტუდენტი სწავლობს ქორეოგრაფიულ სადადგმო ხელოვნებას, იმავე სემესტრში სწავლობს ქართულ ხალხურ ცეკვას და მოსფლიო ხალხთა ცეკვებს. ზუსტად იგივე პრინციპით მეორდება ზემოთ ხსენებული და სხვა დამატებითი კურსები შემდეგი სემესტრიდან. ეს არის სპირალიზებული მიდგომა, რომელიც მოითხოვს შედეგების ერთობრივად, უფრო გამსხვილებული ვარიანტით წარმოდგენას. რაც შეეხება საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნებს. ამ ბლოკის შექმნის მიზანი იყო არა მხოლოდ პროფესიული უნარებს განვითარება, არამედ ის მიზნად ისახავს გაუზარდოს თვალსაწიერი სტუდენტს თანამედროვე გამოწვევებზე და შეისწავლოს ისეთი კომპეტენციები, რომელსაც თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენებს მომავალში, შესაბამისად ასეთი ბლოკის ფარგლებში ერთი კონკრეტული შედეგი არ იწერება, ის განზოგადებული სახით აისახება პროგრამაში. მაგალითად, საუნივერსიტეტო საგნები უვითარებს ისეთ კომპეტენციას, როგორიცაა: იცავს პროფესიულ სტანდარტებს და ეთიკის ნორმებს. არის მომთხოვნა,

სამართლიანი, გაწონასწორებული და ტაქტიანი. აქვს პროფესიული საქმიანობის მაღალი მოტივაცია.

რაც შეეხება ინგლისურ კომპეტენციას. მოგახსენებთ, რომ გარდა იმისა, რომ ინგლისური ენა არის სავალდებულო საგანი, ეროვნულ გამოცდებზე ანკეტა-კითხვარშიც მხოლოდ ინგლისურით ხდება მიღება. როგორც ქართული, აგრეთვე ინგლისური ენის კომპეტენციას იყენებს სტუდენტი პროგრამაში და ეს ასახულია კომპეტენციის სახით პროგრამაში, კერძოდ: საბიბლიოთეკო რესურსების, ელექტრონული სამეცნიერო და კინოფოტოფონოდოკუმენტების საარქივო ბაზების საშუალებით, მოიძიებს შესაბამის წყაროებს და მათი შესწავლა-ანალიზის საფუძველზე ქმნის (მცირე ფორმატის) კვლევითი - პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს და მის ირგვლივ გამოხატავს საკუთარ აზრს, არგუმენტირებულად მსჯელობს. წყაროებისა და რესურსების შექმნას და შემდეგ მის პრეზენტირებას სწორედ ამ ორი ენის გამოყენებით შეძლებს სტუდენტი. პროგრამის სავალდებულო კურსებში მოცემულია, ვიმეორებ ეს ორი ენა. ჩვენ სიტყვა ინგლისური ან ქართული არ გამოგვიყენებია, ჩვენ თავად ის საკომუნიკაციო საკითხები ვთქვით, რომელიც იქნება შესაძლებელი იმ ენით, რაც არის სავალდებულო კურსებში ასახული.

ექსპერტთა პასუხი: უსდ არგუმენტაციაში აღნიშნავს, რომ „სპირალიზებული მიდგომა, მოითხოვს შედეგების ერთობლივად, უფრო გამსხვილებული ვარიანტით წარმოდგენას.“ გამსხვილების ეს პრინციპი მისასაღმებელია, მაგრამ, თუკი ეს შეეხო სავალდებულო არჩევით კურსებს, მაშინ რატომ არ შეეხო ის პროფესიული ძირითადი საგნის შედეგებს (რომელიც იმდენად ჩაშლილია, რომ ხელს უშლის აზრის ლაკონურ ჩამოყალიბებას) და მეორე - თუკი იგულისხმება სხვა სავალდებულო ზოგადსაუნივერსიტეტო კურსების შედეგებიც, მაშინ რატომ არ იყო წარმოდგენილი/დაკავშირებული ეს კურსები კურიკულუმის რუკაზე შესაბამის შედეგებთან?

შესაძლოა უსდ გულისხმობს უცხო ენის ცოდნის კომპეტენციას აქ მითითებულ შედეგებში, თუმცა მისი კავშირი მნიშვნელოვანია ნათლად იყოს გაანალიზებული და ის როგორც სავალდებულო კურსი, იკავებდეს შესაბამის ადგილს კურიკულუმის რუკაზეც.

1.1 1.2? უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პროგრამის მენეჯერებისთვის (ხელმძღვანელებისთვის) დამატებითი ტრეინინგი შედეგების ფორმულირებაზე.

საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური, პროგრამის დებულების მიხედვით, კოორდინირებას უწევს პროგრამების აკრედიტაციის პროცესს, ამისათვის პროგრამის დებულების მიხედვით გაწერილია როგორ ხდება ახალი პროგრამის ინიცირება და შემდგომ მასზე მუშაობა და როგორ ხდება არსებული პროგრამის მოდიფიკაცია და დახვეწა. მოცემულ შემთხვევაში, პროგრამა ახალია და შესაბამისად როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან,

აგრეთვე პროგრამაში ჩართულ პირებთან აქტიური თანამშრომლობა ჰქონდა ხარისხის სამსახურს. პროგრამის ხელმძღვანელებს და მასში ჩართულ პირებს ჰქონდათ ტრეინინგი სილაბუსის, პროგრამის, თვითშეფასების სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ. ხარისხის სამსახურმა მათ გააცნო Online Ug, სადაც პროგრამის ხელმძღვანელებს და მასში ჩართულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ თუ როგორ იტვირთება სილაბუსები და პროგრამა ონლაინ და როგორ ხდება მათი მოდიფიკაცია. ტრეინინგები ეხებოდა სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემის გარშემო არსებულ მოთხოვნებს და ა.შ.

არსებული რეკომენდაციის გაცნობის შემდეგ, გაგვიკვირდა რეკომენდაცია რატომ ჩამოყალიბდა ასეთი ფორმით, ამიტომ გავეცანიტ აღწერას. აღწერაში საერთოდ არ არის ახსნილი რატომ გაჩნდა ამ რეკომენდაციების საჭიროება. თან გასაკვირია, რადგან ინტერვიუს დროს, როცა ეს კითვა დაისვა, უნივერსიტეტის წამომადგენლებმა მოგაწოდეს ინფორმაცია ტრეინინგების თაობაზე. დანართის სახით ზემოთ ხსენებულის დასამტკიცებლათ გიგზავნიტ დადასტურებებს, მაგრამ რა თქმა უნდა ჩვენც გვანტერესებს ექსპერტებისგან რას გულისხმობენ არსებული რეკომენდაციის ქვეშ, რა კავშირშია ის 1.2. სტანდარტთან და რატომ არის ის ჩამოყალიბებული რეკომენდაციის სახით და არა რჩევის სახით.

ექსპერტთა პასუხი: ექსპერტთათვის ცნობილია უსდ-ს პოლიტიკა პროგრამის შემუშავების თაობაზე, რომ პროგრამისა და მისი შედეგების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების საბჭო, სადაც ხარისხის სამსახურთან ერთად შესულია ხელმძღვანელებიც. ინტერვიუს დროს არაერთხელ გაჟღერდა დარგის სპეციფიკურობისა და სირთულის შესახებ და ბუნებრივია, ეს სამსახური არც არის ვალდებული ყველა დარგის სპეციფიკა სიღრმისეულად იცოდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელები თავად ერკვეოდნენ საფუძვლიანად არამხოლოდ სპეციალობის დარგობრივ, არამედ, შესაბამისი საფეხურის პროგრამის ჩამოყალიბების სხვადასხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციებში, რათა აღნიშნულმა პრობლემამ თავი არ იჩინოს. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდანაც დადასტურდა, რომ ხარისხის სამსახური ძალიან დაეხმარათ მათ პროგრამის შემუშავებაში. თუმცა უპრიანია, დამატებითი ტრენინგებისა და შეხვედრების გამართვა არსებული პროგრამის სწავლის შედეგების ლაკონური და ნათელი შედეგების ჩამოსაყალიბებლად.

ვითვალისწინებთ თქვენს არგუმენტაციას და აღნიშნული გადაგვაქვს რჩევაში.

1.3 It is recommended to revise the Curriculum Map to ensure all learning outcomes are developed progressively across the three levels of Introduction, Deepening, and Mastering (I, P, and M), maintaining the logical development chain necessary for coherent student progression.

On the programme outcomes and course mapping chart, all core mandatory courses should be explicitly outlined, including, where possible, the university-wide mandatory courses.

ამ ორ რეკომენდაციას ვაერთიანებთ და მოგახსენებთ ერთ პასუხს.

რეკომენდაციაში მითითებულია რომ, შედეგების შეფასებისთვის წარმოდგენილ სასწავლო რუკაში ყველა სასწავლო შედეგი არ არის თანმიმდევრულად განვითარებული სამი დონის – შესავალი (I), გამოკვლევა (P) და დასრულება (M) – მიხედვით. ასევე, აღწერაში აღნიშნულია, რომ ზემოთ ხსენებული შეუსაბამობა არღვევს პროგრამის სწავლის შედეგების ლოგიკური განვითარების ჯაჭვს. ვიზიტის დროს, ინტერვიუს ეტაპზე, არაერთხელ ავლნიშნეთ, რომ გარე შეფასება, რომელიც აღწერს რეკომენდაციის არს გასაგებად, მაგალითებით არის ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანი, რადგან ის გვაძლევს შესაძლებლობას უფრო კარგად და სიღრმისეულად გავიაზროთ ის თუ რაც გავაკეთეთ. სამწუხაროდ მოცემული აღწერა არ იძლევა საკმარის ინფორმაციას თუ რა არ არის თანმიმდევრული? რაში ვერ გამოჩნდა ლოგიკური განვითარების ჯაჭვი? რა იყო ის მიზეზი ან მიზეზები, რამაც გადააწყვეტინა ექსპერტებს დაეწერა რეკომენდაცია და არა რჩევა. არც ის ჩანს, მოცემული რეკომენდაციის გამოსწორებით სტანდარტი როგორ გაუმჯობესდება?

ინსტიტუციამ წარმოადგინა რუკა. მან განსაზღვრა, რომელი შედეგი რა სირთულისაა და გამოსახა შესაბამისი ინიციალებით. თუ იმ ვარიანტში რაც პროგრამის განმახორციელებმა აღნიშნეს არ შეესაბამება სისწორეს მაშინ ეს უნდა იყოს ახსნილი და დასაბუთებული, რაც ჩვენ აღწერაში ვერ წავიკითხეთ. ამასთან რუკა არის საშუალება პროგრამის ხელმძღვანელებისთვის უკეთ დაინახონ კომპეტენციები და გახადონ ისინი თვალსაჩინო, მაგრამ რუკა ნამდვილად არ არის მიზეზი, რეკომენდაციის დაწერის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც აკრედიტაციის სტანდარტი და არც რომელიმე ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს არც რუკის ფორმას და არც მისი შედეგის წესს. აღნიშნული დოკუმენტი იქმნება პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან და დიდ წილად ის დამოკიდებულია პროგრამის სპეციფიკაზე და ინდივიდუალურ მიდგომებზე, ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია, ის რაც პროგრამის განმახორციელებლების დისკრეციაა, როგორ შეიძლება ამის საფუძველზე შეიქმნას რეკომენდაცია? ვიმედოვნებთ, რომ მოცემული საკითხი გადაიხედება, რადგან გულწრფელად მიგვაჩნია, რომ რეკომენდაციას არ აქვს სამართლებრივი საფუძველი.

ექსპერტთა პასუხი: დავაზუსტებთ, რომ უსდ-ს მიერ, რუკაზე იყო წარმოდგენილი საგნები, რომელიც საერთოდ არ იყო დაკავშირებული შედეგებთან (ბრალოდ ეწერა ჩამონათვალში). ამასთან, იყო შემთხვევა, როდესაც ძირითადი კურსის საგანი საერთოდ არ იყო ჩასმული. ამდენად, ის არასრულადაა გაანალიზებული. ხოლო რაც შეეხება სტანდარტის არარსებობას,

მოგახსენებთ, რომ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო“ (გვ. 16) მითითებულია: „*პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას უნდა ახლდეს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი, რომელი კურსი ან/და პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის*“. თავად რუკის შედგენის მექანიზმებიც მითითებულია იმავე დოკუმენტში.

- 1.3. დარგის სინთეზური ბუნების გამო, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საგნების მრავალფეროვნება და სტუდენტებს შესთავაზოს როგორც დისციპლინის სპეციფიკური, ისე მასთან დაკავშირებული კურსების ფართო სპექტრი, როგორც ძირითად, ასევე დამატებით მოდულებში.

პასუხი:

ნაწილობრივ ვეთანხმებით აღნიშნულ რეკომენდაციას. საბაკალავრო პროგრამის შედგენისას ჩვენ თავიდანვე გვქონდა სურვილი, რომ სასწავლო კურსების ჩამონათვალში ყოფილიყო კოსტიუმის ისტორია, ხელოვნების ფსიქოლოგია, ცეკვის ანატომია - ბიომექანიკა, ხელოვნების ფილოსოფია, პილატესი და ა. შ. ახლო მომავალში ვგეგმავთ, რომ ექსპერტების მიერ შემოთავაზებული და აქ ჩამოთვლილი სასწავლო კურსები განმახორციელებლების მოძიების შემდეგ, შევიტანოთ საბაკალავრო პროგრამაში.

რაც შეეხება ინკლუზიურ ცეკვა, ექსპერტების ვიზიტისას აღვნიშნეთ, რომ პედაგოგიკის ფსიქოლოგიის კურსში, ჩვენი თხოვნის გათვალისწინებით ისწავლება ისეთი თემები, როგორიცაა: მოსწავლეთა განსხვავებები, სწავლის საჭიროებები და ინკლუზიური განათლება. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოწვეული პერსონალი ქორეოგრაფიული ხელოვნების მაგისტრი ბაქარ ხინთიბიძე სერტიფიცირებული ცეკვის სპეც. პედაგოგია. სწორედ მისი და სხვა

სპეციალისტების ჩართულობით, სამომავლოდ ვაპირებთ, რომ სასწავლო პროგრამაში შევიტანოთ ინკლუზიური ცეკვის კურსი.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია დასკვნითი ნაშრომის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილის განხორციელება, რისთვისაც სასურველია ცალკე კრედიტების გამოყოფა.

თუ დასკვნითი ნაშრომი განისაზღვრება გამოცდით ძირითადი პროფესიული კურსის „სადადგმო ხელოვნება 6“, ამ კურსის შინაარსი და კრედიტების განაწილება უნდა გადაიხედოს.

პასუხი:

პროგრამის განვითარების საბჭომ იმსჯელა აღნიშნული საკითხის შესახებ და საბოლოოდ გადაწყდა, რომ ძირითადი კურსი „ქორეოგრაფიული სადადგმო ხელოვნება VI“ მხოლოდ დასკვნითი გამოცდით დასრულდეს. გავითვალისწინეთ ექსპერტების რეკომენდაცია. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი წარმოადგენს შემოქმედებით პროექტსა (ცეკვას) და თეორიულ (წერით) ნაშრომს. გავზარდეთ კურსის კრედიტები 9 ECTS. შესაბამისად, შეეცვალეთ კურსის შინაარსი და შეფასების კრიტერიუმები (იხ. დანართი **სილაბუსები**). 1. შემოქმედებითი პროექტი (ხალხური ცეკვის საფუძველზე დადგმული საცეკვაო ნომრის ქრონომეტრაჟი, არ უნდა იყოს 3,5 წუთზე ნაკლები). 2. თეორიული (წერითი) ნაშრომი (6-18 გვერდი დანართის გარეშე) პრაქტიკული და თეორიული ნაშრომების შინაარსი უნდა იყოს არსებით შესაბამისობაში. წერითი ნაშრომის ძირითად თავს ერთვის დანართი, სადაც მოცემულია განხორციელებული შემოქმედებითი პროექტის ცეკვის ლიბრეტო, პროგრამა, სასცენო კოსტიუმის ესკიზ(ებ)ის დეტალური აღწერა და ცეკვის გრაფიკული ნახაზი.

ინტეგრირებული კურსი „მსახიობის ოსტატობა და რეჟისურის საფუძველები“ უნდა დაიყოს და დამატებით დრო და კრედიტები გამოიყოს სპეციალურად რეჟისურისთვის.

პასუხი:

სასწავლო პროგრამის შედგენისას, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ წარმომადგენლებთან (რეჟისორებთან, მსახიობებთან). სწორედ მათთან კონსულტაციების საფუძველზე მივიღეთ გადაწყვეტილება კურსების ინტეგრირების შესახებ. ამის მიუხედავად, პროგრამის განვითარების საბჭო ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას და „რეჟისურის საფუძვლები“ 6 ECTS დარჩება ძირითად კურსად, ხოლო „მსახიობის ოსტატობა“ 6 ECTS, არჩევითი კურსების ჩამონათვალში გადაინაცვლებს. აღნიშნულ სილაბუსზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. (იხ. დანართი **სილაბუსი**).

პროგრამაში მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს საერთაშორისო გამოცდილებაზე, ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე და ამ სფეროში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე.

პასუხი:

პროგრამის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ ვგეგმავთ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას. ამ მხრივ საქართველოს უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ვფიქრობთ, რომ ეს წინაპირობა სამომავლოდ ხელს შეუწყობს ჩვენი უნივერსიტეტიდან და სხვადასხვა სახელოვნებო განათლების პროფილის მქონე საერთაშორისო უმაღლეს დაწესებულებებს შორის აქტიურ თანამშრომლობას.

- 1.4. პროგრამის შედეგებისა და კურსის რუქის სქემაზე, ყველა ძირითადი სავალდებულო კურსი მკაფიოდ უნდა იყოს ასახული, მათ შორის, სადაც ეს შესაძლებელია, მთელი უნივერსიტეტის სავალდებულო კურსები.

თუ პროგრამა არ შეიცავს ცალკე საკვალიფიკაციო ნაშრომს, მაშინ კურსი „ქორეოგრაფიული სასცენო ხელოვნება VI“ უნდა იყოს პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევების ძირითადი მაჩვენებელი, თავისი დასკვნითი საგამოცდო დავალებით და შინაარსით. თუმცა, ამ ეტაპზე ის არ შეესაბამება ამ მოთხოვნას.

პასუხი:

გავითვალისწინეთ ექსპერტების რეკომენდაცია. აღნიშნული საკითხი განხილულია ქვეთავში 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (იხ. დანართი **სილაბუსები**).

არჩევითი კურსის „სამეჯლისო სპორტული ცეკვის“ წინაპირობა უნდა შეიცავდეს „სამეჯლისო სპორტულ ცეკვას“.

პასუხი:

რეკომენდაციები კურსზე „სამეჯლისო სპორტული ცეკვა“ და „სამეჯლისო სპორტული და თანამედროვე ცეკვები“ ნაწილობრივ გავითვალისწინეთ. მათ შორის ძირითად კურსში სამეჯლისო ცეკვების რაოდენობასთან დაკავშირებით და შესწორებულ სილაბუსებს დავურთავთ დოკუმენტებს. (იხ. დანართი **სილაბუსები**).

სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს მეთოდოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებას.

მრავალსემესტრულ კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს კურსის შინაარსს.

პასუხი:

აღნიშნული რეკომენდაცია ბუნდოვანია, რადგან არ არის დაკონკრეტებული მეთოდი. მისი დაზუსტების შემთხვევაში შევეცდებით გავითვალისწინოთ კონკრეტულ მითითება.

კურსებში სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა მკაფიოდ უნდა შეფასდეს, ზუსტად გამოიკვეთოს საგამოცდო თემები და აისახოს შეფასების კრიტერიუმებში.

რეკომენდებულია აკადემიური კურსების სწავლის შედეგები მოიცავდეს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მე-6 დონის აღწერებს, კონკრეტულად პასუხისმგებლობასა და ავტონომიაზე ორიენტირებული.

ექსპერტთა პასუხი: საუბარია სილაბუსში კურატორის მიერ უკვე წარმოდგენილ მეთოდებზე, რომლის გამოყენება მნიშვნელოვანია ჩანდეს სილაბუსის შინაარსობრივ ნაწილში.

1.5 It is recommended that the learning outcomes of the academic courses include the descriptors of level 6 of the National Qualifications Framework, specifically focusing on responsibility and autonomy.

რეკომენდაციის აღწერილობით ნაწილში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აკადემიური კურსების სწავლის შედეგები უნდა აისახოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონის მიხედვით. შევისწავლეთ აღწერა და აღწერაში არ არის მითითება, თუ რატომ გაჩნდა საჭიროება მოცემული რეკომენდაციის. ერთადერთი რაც იკითხება, არის ის, რომ ექსპერტები მიუთითებენ პასუხისმგებლობა და ავტონომიის არსებობას და მიუთითებენ სილაბუსებს. უპირველეს ყოვლისა, ისევ ნორმატიულ აქტებს უნდა მივმართოთ და აღვნიშნოთ, რომ პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით არ არის სავალდებულო კომპონენტი. უფრო მეტიც, შესაძლებელია პროგრამებმა აკრედიტაცია გაიარონ ხსენებული კომპეტენციის საფუძველზე. გამონაკლისი არის დარგობრივის მოთხოვნები. მოცემულ პროგრამაზე სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის არსებობა განმტკიცებულია დარგობრივით, რაც ჩვენც შესაბამისად ავსახეთ პროგრამაში. ის რაც დარგობრივის მიხედვით განისაზღვრა კომპეტენციების სახით ავსახეთ შესაბამის სილაბუსებში. გარე შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა იყოს მკაფიოდ და გასაგებად ახსნილი, რატომ უნდა დაემატოს დამატებით საგნებში პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კომპონენტი და რატომ არაა საკმარისი მისი არსებობა მხოლოდ ქართული ცეკვის სილაბუსებში? მიგვაჩნია, რომ გარე შეფასებიდან გამომდინარე უნდა კონკრეტულად ჩანდეს, არსებული მდგომარეობით რა ზიანდება და კონკრეტულად მისი გამოსწორების მიზნით უნივერსიტეტმა რა ნაბიჯები უნდა განახორციელონ. გარე შეფასების ვალდებულება არის განმავითარებელი ფუნქციის მატარებელი და თუ ეს არ იკითხება ქვესტანდარტის აღწერით ნაწილში, მაშინ პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის გაუგებარი ხდება გარკვეული საკითხები.

ექსპერტთა პასუხი: მოგეხსენებათ, რომ სახელოვნებო მიმართულების ნებისმიერი სასწავლო კურსი მეტწილად სწორედ ადამიანის/სტუდენტის ემოციებს, განწყობებს და ღირებულებებს უკავშირდება, რაც თავისთავად თავს უნდა იყრიდეს შედეგების პასუხისმგებლობისა და

ავტონომიის ნაწილში. სხვადასხვა სასწავლო კურსის (და არა მხოლოდ „ქართული ცეკვა“) შედეგების შეფასება, სტუდენტების ემოციური დამოკიდებულების ჩამოყალიბებიდან დაწყებული ღირებულებების გათავისებით დასრულებული, საბოლოოდ უნდა ერთიანდებოდეს და მსხვილდებოდეს პროგრამის შედეგების ნაწილში.

ცოდნასთან და უნარებთან ერთად, პასუხისმგებლობის, დამოუკიდებლობისა და ღირებულებების სისტემით აღჭურვილი მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე კადრები კი კონკურენტულ გარემოში დასაქმების ბაზარზე უპირატესობის გარანტიაა.

ამდენად, სახელოვნებო მიმართულების პროგრამის სასწავლო კურსებისთვის კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სილაბუსების შედეგებში მისი გაანალიზება და შეფასება.

2.1. უზრუნველყოს ქულების განაწილება პროგრამის მისაღები მოთხოვნების შეფასების კრიტერიუმების ფარგლებში (როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში). ეს მოიცავს კრიტერიუმის თითოეული ნაწილისთვის და კომპონენტების ცალკეულ კრიტერიუმებში ქულების განაწილებას შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშსა და ცალკე წარდგენილ დოკუმენტს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც ასახავს პროგრამის შემოქმედებითი ტურების მოთხოვნებს და შეფასების კრიტერიუმებს, განსაკუთრებით პირველ ტურში „პლასტიურობის“ კრიტერიუმის ჩართვას. გარდა ამისა, დაამყარეთ თანმიმდევრულობა ინტერვიუს თემებთან, რომლებიც მითითებულია მტკიცებულებად.

გარდა არსებული მისაღები წინაპირობებისა, უმაღლესმა სწავლებამ უნდა შეიტანოს საგამოცდო ამოცანები და მოთხოვნები, რომლებიც გამოავლენს თანდაყოლილ შემოქმედებით შესაძლებლობებსა და მახასიათებლებს, რომლებიც აუცილებელია დამდგმელი ქორეოგრაფის პროფესიაში განათლების მისაღებად.

პასუხი:

ვითვალისწინებთ ექსპერტების რეკომენდაციებს: 1.საბაკალავრო პროგრამის დაშვების წინაპირობებში (შემოქმედებით ტურებში) მოთხოვნილი თითოეული ნაწილისთვის და კომპონენტების ცალკეულ კრიტერიუმებში ქულების განაწილების შესაბამის მოთხოვნებს; 2. რეკომენდაციას საგამოცდო ამოცანების/მოთხოვნების დამატების შესახებ და ვამატებთ მესამე შემოქმედებით ტურს, სადაც აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საკონსულტაციო პერიოდში, მის მიერ დადგმული მცირე ფორმის ხალხური ცეკვა და შეძლოს მისი მოკლე ანალიზი (იხ. **დანართი**).

სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვისა და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია გავითვალისწინოთ პროგრამის სპეციფიკა, შრომის ბაზრის მოთხოვნები და დაწესებულების რესურსების შესაძლებლობები კურსის გატარების მხარდასაჭერად.

პასუხი:

პროგრამის ხელმძღვანელებმა ექსპერტებთან შეხვედრისას წამოაყენეს ინიციატივა, რომ 30 სტუდენტის ნაცვლად, საბაკალავრო პროგრამაზე დაშვებულიყო წელიწადში 20 სტუდენტი. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, პროგრამის განვითარების საბჭოსთან და საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, საბოლოოდ გადაწყდა, რომ მისაღები სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს 20 სტუდენტით.

ექსპერტების მოსაზრებას, რომ თითქოს საქართველოს შრომის ბაზარი ვერ იტევს ყოველწლიურად ამ რაოდენობის ქორეოგრაფებს, ვერ გავიზიარებთ. ჩვენს ქვეყანაში მართლაც მრავლადაა ქართული ცეკვის სახელმწიფო / მუნიციპალური ანსამბლები, დამოუკიდებელი პროფესიული თუ მოყვარულთა ქორეოგრაფიული დასები, ქორეოგრაფიული სტუდიები და წრეები, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, მათი ხელმძღვანელების უმეტესობას აქვთ ან მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება, ან ქორეოგრაფ-რეპეტიტორის არაფორმალური განათლება (სერტიფიკატი). რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა ამ მხრივ მსოფლიო ხალხთა ცეკვის მიმართულებით. თითქმის არ გვახსენდება შემოქმედებითი დასი, რომელიც მხოლოდ ამ პროფილით მოღვაწეობს. რაც შეეხება მსოფლიო ხალხთა ცეკვის (ან სახასიათო ცეკვის) კვალიფიციურ დამდგმელ ქორეოგრაფებს (ან პედაგოგებს), ამ მხრივ საქართველოს შრომის ბაზარი სრული ყამირია. ქვეყნის მასშტაბით გვყავს სულ თითოზე ჩამოსათვლელი საპენსიო ასაკის დიპლომირებული ქორეოგრაფ-პედაგოგები (და არა დამდგმელი), რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ ქვეყნის გარეთ, ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ექსპერტთა პასუხი: სამწუხაროდ, ეს ხელს არ უშლის მათ დასაქმებას ბაზარზე არც კერძო და არც სახელმწიფო ორგანიზაციებში.

2.2. რეკომენდირებულია ხელშეკრულებების დადება კულტურულ ან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა უზრუნველყონ სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკის ჩატარების შესაძლებლობა.

უზრუნველყოს პროგრამის პრაქტიკული/კრეატიული/საშემსრულებლო კომპონენტის ორგანიზება და დაგეგმვა პროგრამის სასწავლო შედეგების შესაბამისად.

პასუხი:

პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია აღნიშნული საკითხი, შესაბამისად რეკომენდაციას ვითვალისწინებთ. სტუდენტების პროფესიული პრაქტიკის უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა საგანმანათლებლო-კულტურულ დაწესებულებებთან.

2.3. სწავლების მეთოდოლოგია უნდა შეიცავდეს უფრო თანამედროვე მიდგომებს (მაგალითად, ციფრული ქორეოგრაფიული პლატფორმები, პერსონალურ ნარატივს და თხრობა, ვირტუალური მასტერკლასები და სემინარები, საკლასო ოთახის მეთოდოლოგია).

4.4 რეკომენდებულია ქორეოგრაფიული კვლევების შესაბამისი აუდიოვიზუალური რესურსების საჯაროდ ხელმისაწვდომი არქივის შექმნა.

პასუხი:

ექსპერტებთან შეხვედრისას პროგრამის ლიდერებისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მხრიდან გამოთქმული იყო მზაობა ფოტო, აუდიო-ვიდეო არქივის, Youtube არხის და სათანადო ონლაინ სივრცის შექმნისა და მართვის შესახებ, სადაც განთავსდება როგორც პედაგოგთა პირადი არქივი, ასევე სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი საჭირო და სასარგებლო

ფოტო-ვიდეო მასალა. აგრეთვე, ONLINE UG პორტალზე განთავსდება სილაუბუსებში წარმოდგენილი "აუდიო-ვიდეო სასწავლო მასალები, რომლებიც თეორიულ-პრაქტიკულად ახსნის პარალელურად სტუდენტს შესთავაზებს საჭირო და სასარგებლო ინფორმაციას.

მოცემული პლატფორმის შესაქმნელად დაწყებულია შესაბამისი რესურსების მობილიზება და უზრუნველყოფა, რასაც გარკვეული დრო სჭირდება და პროგრამის აკრედიტირების პროცესის პარალელურად შედგება.

2.4. რეკომენდებულია თითოეული აკადემიური კურსის ან საგნის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მორგებული იყოს კურსის სპეციფიკურ ხასიათზე, შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და შემუშავებული იყოს ამ შედეგების მიღწევის ეფექტურად შესაფასებლად; რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები იყოს გამჭვირვალე და მკაფიოდ გადმოცემული, რათა უზრუნველყოს სამართლიანობა და გაგება ყველა სტუდენტისთვის.

პასუხი

ნაწილობრივ გვითვალისწინეთ ექსპერტთა რეკომენდაცია ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიც არის „ქორეოგრაფიული სადადგმო ხელოვნება 6“. მნიშვნელოვნად შეცვალეთ შეფასების კრიტერიუმები და გავითვალისწინებთ დანარჩენ საგნებთან მიმართებაში. (იხ. დანართი „ქორეოგრაფიული სადადგმო ხელოვნება 6“)

3.1. რეკომენდებულია სტუდენტებისთვის პროფესიონალურ და ანონიმურ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე წვდომის შესაძლებლობების შექმნა.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული კითხვა დაისვა ხარისხთან ინტერვიუს დროს და ხარისხის წარმომადგენლებმაც გასცეს პასუხი თუ აღნიშნულს სტანდარტს ინსტიტუცია და პროგრამა როგორ აკმაყოფილებდა. სრულიად გაუგებარი, რატომ მოხდა ისე, რომ ერთი რეკომენდაციის გამო არ მოხდა ქვესტანდარტის სრულად შესაბამისობის დადგენა და რამ განაპირობა ის, რომ

რეკომენდაციად დაიწერა ისეთი რამ, რაც აკრედიტაციის სტანდარტით არ არის განსაზღვრული. ზემოთ აღვნიშნეთ და განვმეორდებით, რომ აკრედიტაციის წარმოება არის სამართლებრივი პროცესი, რომელიც გარდა ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნისა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ექვემდებარებოდეს ნორმატიულ მოთხოვნებს, შესაბამისად, მოცემული სტანდარტი გულისხმობს სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისებს და არა რაიმე სახით ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის არსებობას და ამ სერვისის შეთავაზებას. ინსტიტუციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არსებობს ფსიქოლოგიის პროგრამა, რომელსაც აქვს თავისი ფსიქოლოგიური ცენტრი, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ ექსპერტები დაგვაავალდებულებდნენ სავალდებულო და ანონიმური ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისის არსებობას. ვიმეორებთ, ეს სტანდარტით არაა მოთხოვნილი და უფრო მეტიც, მოცემული სტანდარტის მიზანი სულ სხვაა, ვიდრე ის რაც რეკომენდაციის სახით აისახა. მიგვაჩნია, რომ ამ ნაწილში სრულიად უნდა მოიხსნას რეკომენდაცია და იმ მტკიცებულებების ფონზე, რომელსაც 3.1. ქვესტანდარტი მოითხოვს, და რაც გამოიგზავნა აკრედიტაციის განაცხადის გაკეთების დროს, იმსახურებს სრულად შესაბამისობას. დანართის სახით, კიდევ ერთხელ გიგზავნით 3.1 ქვესტანდარტის დამამტკიცებელ დოკუმენტებს.

4.1. HEI უსდ-ის მიერ კონკრეტულ კურსზე დანიშნული პირი და სილაბუსში ჩამოთვლილი პირი ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს.

გავცვანით ექსპერტების მიერ დაწერილ დასკვნით პროექტს, სადაც საუბარია კურსის კურატორებისა და ლექტორების შესახებ შეუასაბამოაზე. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უნივერსიტეტში კურატორი პასუხისმგებელია სილაბუსის შინაარსობრივ ნაწილზე და შესაძლებელია რომ სილაბუსზე ფიქსირდებოდეს სხვა კურატორი, თუმცა ამავე საგანს კითხულობდეს სხვა ლექტორი. გაცნობებთ, რომ კურსმა “დებატები და კრიტიკული აზროვნება” შეიცვალა კურატორი და უნდა იყოს ნ.ბ, რომლის პირადი საქმეც წარმოდგენილი იყო პერსონალის საქაღალდეში. (იხილეთ შესაბამისი საგნის განახლებული სილაბუსი). „ქართული მითოლოგია და ფოლკლორის“ კურატორი არის მ.თ და ასევე განმახორციელებელ პერსონალში გვხვდება მ.თ. სავარაუდოდ, გარკვეული სახის გაუგებრობას აქვს ადგილი, რადგან პერსონალი ი.ე არ გვხვდება ჩამონათვალში. რაც შეეხება, „კომპიუტერულ საოფისე

სისტემებსა“ და „შესავალი ფსიქოლოგიაში“ ე.ა და ნ.ბ არიან კურსის კურატორები, ხოლო ლექტორები არიან თ.თ და თ.ს აქედან გამომდინარე, გამოგზავნილი იყო მხოლოდ ლექტორების პირადი საქმეები და დამატებით გიგზავნით ნ.ბ-სა ე.ა-ს პირად საქმეებს.

პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელია მომავალში კონკურენტუნარიანი აკადემიური პოზიციების გამოცხადება პროგრამის კონკრეტულ სფეროში.

პასუხი

ვითვალისწინებთ ექსპერტების რეკომენდაციას და მოგახსენებთ, საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აკადემიურ პოზიციებზე გამოცხადებულია კონკურსი, რომლის ფარგლებში პროგრამის კონკრეტულ სფეროში მოხდება შესაბამისი კანდიდატების შერჩევა.

<https://www.jobs.ge/ge/?view=jobs&id=609825>

რეკომენდებულია ხელოვნების სფეროს სპეციალისტებმა რეზიუმეში (CV) წარმოადგინონ თავიანთი შემოქმედებითი გამოცდილების (პროექტების) სია ბოლო 10 წლის განმავლობაში, სხვა პროფესიული (არასასწავლო) გამოცდილებისგან განცალკევებული, სამეცნიერო მუშაობის მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი, პროფილის სპეციფიკურ მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ კურსებზე მოწვეული სპეციალისტები რეგულარულად უნდა ეწეოდნენ მხატვრულ-შემოქმედებით მუშაობას და ესწრაფოდნენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

პასუხი:

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია პედაგოგთა შემოქმედებითი გამოცდილების შესახებ სრული ინფორმაცია.

ექსპერტთა პასუხი: გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სასურველი იყო სილაბუსებზე როგორც კურატორის, ასევე კურსის ლექტორის მითითება, რადგან ექსპერტებს ეგზავნებათ მხოლოდ ლექტორების პირადი საქმეები და არა საგნის კურატორების. აღნიშნული კურსის „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი“ სილაბუსში სწორედ ეთერ ი. არის მითითებული. ამ კონკრეტულის გარდა, სხვა უზუსტობებზეც აღინიშნა ამ რეკომენდაციის ანალიზში.

დიახ, სრულია და არა ბოლო 10 წლის. შესაბამისად, თითქოს ჩანს აქტივობა (რადგან მოღვაწეობის სრულ პერიოდზეა გათვლილი), მაგრამ არ არის უახლეს პერიოდში აქტიურად დატვირთული. შემოქმედებითი პროექტების განცალკევება და ბოლო 10 წლის პერიოდზე გაწერა, თვალნათელს ხდის პერსონალის როგორც ექსპერტთათვის, ასევე დამქირავებელი ორგანიზაციისთვის პირის უახლესი პერიოდის შემოქმედებით აქტივობას (ისევე, როგორც ეს სამეცნიერო აქტივობებზეა მოთხოვნილი - ბოლო 10 წელი).

4.1 ავტობიოგრაფიულ-პროფესიულ რეზიუმე (CV) არ უნდა შეიცავდეს პირის პირად საიდენტიფიკაციო ნომერს.

CV-ში პირადი ნომრის მითითება უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის სამსახურის მიერ შემოშავებული ფორმა და წლებია ამ ფორმით იგზავნება აკრედიტაციისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული აკრედიტაციის სტანდარტებთან კავშირში არ არის, და არასდროს არ გვექონია მსგავსი რეკომენდაცია, შესაბამისად, ამ რეკომენდაციას არ ვეთანხმებით.

ექსპერტთა პასუხი: საქართველოში, 14/06/2023 წელს მიღებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად, მსგავსი ინფორმაცია აღარ გაიცემა მესამე პირზე მისივე დასტურის გარეშე. თუმცა, ვფიქრობთ ეს რეკომენდაცია ექსპერტებმა რჩევაში გადავიტანოთ და უსდ-მ თავად განსაზღვროს მისი დაცვა-არდაცვის საკითხი.

4.1 წარმოდგენილ პროგრამას უნდა უძღვებოდეს აკადემიური თანამდებობის მქონე კვალიფიციური პირი, ხოლო მოწვეულ პერსონალს შეუძლია იმსახუროს პროგრამის თანახმდგენელად.

ვეთანხმებით ექსპერტებს, როცა ისინი ამბობენ, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს არ აქვთ აკადემიური პოზიცია, მაგრამ არც ყველა შემთხვევაში აკადემიური პოზიციაზე მყოფი ნიშნავს კომპეტენტურს. კვალიფიკაცია არ არის მთავარი მოთხოვნა პროგრამის ხელმძღვანელების მიმართ. მნიშვნელოვანი რაც არის, არის კომპეტენცია და ამას განსაზღვრავს სტანდარტი. აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით ვიგებთ, რომ: პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. უფრო მეტიც, შეფასების კრიტერიუმში კიდევ უფრო ამახვილებს ყურადღებას კომპეტენციაზე, კერძოდ, სტანდარტის შეფასების კრიტერიუმის მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეს ცოდნა, გამოცდილება და მათი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით. ამასთან, სტანდარტი ამბობს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული გამოცდილება. გულწრფელად გაუგებარია რატომ გაჩნდა მოთხოვნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ აკადემიური პოზიციის, როცა სტანდარტი ამას არ ითხოვს და არც ექსპერტებს განუმარტავთ, რა არის სტანდარტის ზევით არსებული მოთხოვნა, რომელიც მოითხოვს აღნიშნულ პროგრამაში აკადემიური პოზიციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის არსებობას და არ ყოფნის ის კომპეტენცია, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელებს. ორივე არის დარგის მცოდნე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა ცოდნა დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით და მრავალწლიანი პრაქტიკით, რომელიც კვლავ გრძელდება. მათ აქვთ დიდი პედაგოგიური გამოცდილება და აქტიურად მოღვაწეობენ სფეროში. მათი კომპეტენცია და აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად არსებული კრიტერიუმების მიხედვით არსებული მოთხოვნები დასტურდება მათი პირადი საქმეებით, რომელიც არის ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი და ვიმეორებთ, რომ ძალიან გაგვიკვირდა თუ რატომ გაჩნდა ეს რეკომენდაცია და თან ასეთი ფორმით. როცა ვახსენებ ფორმას, აქ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ თავად იმაზე თუ როგორ არის რეკომენდაცია ფორმულირებული, კერძოდ რეკომენდაციაში გამახვილებულია ყურადღება, რომ პროგრამას კვალიფიციური პირი ან პირები უნდა ხელმძღვანელობდნენო. რომელი პროგრამის ხელმძღვანელი არ არის კვალიფიციური და რითი ასაბუთებენ მათ არაკვალიფიციურობას? უნივერსიტეტის მოსაზრებით არსებული რეკომენდაცია სცდება განსახილველი სტანდარტით შეფასებად კატეგორიას.

ექსპერტთა პასუხი:

აღნიშნული არ არის მყარი არგუმენტი, რადგან როგორც აღწერაშიც იყო ნახსენები, ის ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებას“, მუხლი 12. მაშინ რა საჭიროა დებულების შექმნა საერთოდ, თუკი ის არ არის განმსაზღვრელი უნივერსიტეტისთვის და მას არ დავეყრდნობით? ვერც იმაზე დავეთანხმებით, რომ „არც ყველა შემთხვევაში აკადემიურ პოზიციაზე მყოფი ნიშნავს კომპეტენტურს“. აკადემიური პერსონალი ნამდვილად უნდა ნიშნავდეს კომპეტენტურს, რადგან სწორედ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ საკონკურსო მოთხოვნებშია ჩადებული (უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში) კომპეტენციის შესაბამისი ის მოთხოვნები, რომელიც ფასდება და უნდა შეფასდეს კომისიის მიერ სამართლიანად და ობიექტურად.

მოგახსენებთ, რომ სამწუხაროდ ასეთი ფორმა მიღებულია მთარგმნელობითი პროცესის შედეგად, რამაც გამოიწვია გაუგებრობა. დავაზუსტებთ, როდესაც საუბარი იყო უსდ-ს დებულებაზე, ზუსტად მასზე დავყრდნობით შეიქმნა ასეთი რეკომენდაცია, რომელიც ქართულად ასე ჟღერდა: „წარმოდგენილ პროგრამას უნდა ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირი პროგრამის ხელმძღვანელ პოზიციაზე, ხოლო მოწვეული პერსონალი - მის თანახელმძღვანელად“. რაც თავისთავად, შინაარსობრივად იმეორებს მხოლოდ და მხოლოდ უსდ-ს მიერ დებულებაში ჩამოყალიბებულ მუხლებს.

4.4. რეკომენდებულია უფრო შესაფერისი პირობების შექმნა პრაქტიკული გაკვეთილებისთვის, განსაკუთრებით სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

პასუხი

ზოგადად, უნივერსიტეტს აქვს სტრატეგია, რომ ფოლკლორის მიმართულებისთვის შეიქმნას საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის იქნება.

პროგრამის აკრედიტაციის პროცესში, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები დამატებით ფართთან დაკავშირებით. ვითვალიწინებთ თქვენს რეკომენდაციას და ახალ დამადასტურებელ დოკუმენტაციასაც წარმოგიდგენთ.

უნდა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც ასახავს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტებს/წესებს ქორეოგრაფიის გაკვეთილებზე ჩართული პირებისთვის. ნორმატიული დოკუმენტი უნდა დაერთოს პროგრამას, გამოქვეყნდეს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იყოს ყველა ჩართული პერსონალისა და სტუდენტისთვის.

პასუხი:

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი. (იხ. დანართი).

ექსპერტთა პასუხი: აკრედიტაციის დებულების მიხედვით, აკრედიტაციის პროცესის მსვლელობისას შემუშავებული/გასწორებული დოკუმენტაცია ვერ იქნება დასკვნაში გათვალისწინებული. არგუმენტირებულ პასუხებს აქვს მხოლოდ დამაზუსტებელი ხასიათი.